603N14-088


# ლელო

№ 32
(11 284)

30 აპრილი – 3 მაისი, 1999 წ.   ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## SOS

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კრახმა თვალნათლივ დაგვანახვა თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს სპორტისადმი სახელმწიფოს უყურადღებობამ. შემდეგი საჯარო კრახი მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებზე გველოდება. ქართული სპორტის ნგრევის პროცესი დასასრულს უახლოვდება. ერთადერთი ხსნა ჩვენს ქვეყანაში ლატარიების სახელმწიფო მონოპოლიზაციაა, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული.

1918 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკამ გამოსცა კანონი „სათამაშო ქაღალდისთვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა", რომლის შესაბამისად დაწესდა მკაცრი სახელმწიფო კონტროლი და მთელი შემოსავლები ხაზინაში წარიმართა. ან მსოფლიო გამოცდილება გავიზიაროთ, ან საკუთარი ეროვნული ხელისუფლების წარსულის გამოცდილება. ნუ მივალთ სრულ კატასტროფამდე!

# ფეხბურთის დროით რომელი საათია საქართველოში?

- ევროპას გრინვიჩის დროით ფეხბურთშიც ჩამოვრჩებით
- ან მოგება ისწავლეთ, ან ტრაბახი მოიშალეთ...
- ძალიან მოგვიმრავლდა ტრავმები მაინცდამაინც პრინციპული თამაშების წინ
- რა ჰქვია იმას ჩვენში, რასაც ევროპაში ფეხბურთს ეძახიან?
- მთავარია, არა ფეხბურთელის, არამედ ფეხბურთის სიმაღლე


ზაზა ჯანაშია

...კმარა, გვეყო ილუზიები – ჩვენი ადგილი ევროპის საფეხბურთო კოჰორტაში არ არის და როდის იქნება, ცოტა ძნელი სათქმელიცაა. აღარც იმას აქვს უკვე მნიშვნელობა, ჩვენი მეტოქეები ერთმანეთთან ქულებს როგორ დაკარგავენ, აღარც იმის ოცნების უფლება გვაქვს, ჩვენი ნაკრები დარჩენილ შეხვედრებში რამდენ ქულას შემატებს თავის მწირ აქტივს – ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩვენ არაფერი გვესაქმება! იქ სხვები უნდა წავიდნენ, აი, მაგალითად, ნორვეგიის ნაკრების მსგავსი გუნდები, ანუ ისინი – ვინც ფეხბურთს თამაშობენ; ვინც ტრაბახისა და ბაქი-ბუქის მაგივრად, მოგება იცის; ვინც თავის გულშემატკივარს აბუჩად არ აიგდებს და ასე შემდეგ. დიახ, ეს ყველაფერი ზემოთქმული საქართველოს ნაკრებს არ ეხება და ტყუილად გავნაწყენებულვართ ოთხი წლის წინათ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის ფრანც ბეკენბაუერის ნათქვამ სიტყვებზე: „საქართველოს ნაკრების მსგავსმა გუნდებმა ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად არც უნდა იოცნებონო". დიახ, გავნაწყენდით, გავბრაზდით – ეგ როგორ, „კაიზერ-ფრანცმა" რატომ გვაკადრა ასეთი დაუმსახურებელი სიტყვებიო. ჩვენ ხომ ყველაფერში, განსაკუთრებით კი, ფეხბურთში ძალიან „მაგრები" ვიყავით, თანაც უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში, ათასი წინააღმდეგობის მიუხედავად, გამორჩეული ადგილი გვეკავა (სსრკ ნაკრებში იქნებოდა თუ საკლუბო დონეზე) და ახლა, როცა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით გავედით საერთაშორისო სარბიელზე, ამბიცია გაგვიჩნდა, იცოცხლეთ. მაგრამ, რად გინდა – ჯერ იყო, გერმანიასა და ბულგარეთთან ერთად მოვხვდით და დებიუტის კვალობაზე არც არავის გაუკრიტიკებია საქართველოს ნაკრები – 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური როგორ ვერ მოიპოვეთო. მერე კიდევ უარესი ჯგუფი გველოდა – აქეთ იტალიაო, იქით ინგლისიო, ჰოდა, სად იყო „საჩვენო" საფრანგეთის საგზური? მაგრამ, არა, ჩვენი ნაკრების მაშინდელ მწვრთნელებს (ჯერ ჩივაძეს, შემდეგ ყიფიანს) ვერაფრით აპატიეს იტალია-ინგლისთან მარცხი; ახლა ფეხბურთელებს აღარ იკითხავთ – ეს როგორ, მურთაზ შელიას ფაბრიციო რავანელიმ როგორ დაასწრო თავით თამაშშიო, ან კახა ცხადაძე ლეს ფერდინანდთან პოზიციურად როგორ შეცდაო, ან შოთა არველაძემ დევიდ სიმენი „მშრალზე" როგორ დატოვაო, ან გიორგი ქინქლაძემ როგორ ვერ შეძლო ერთდროულად 8-10 (!) იტალიელი ან ინგლისელი ფეხბურთელის მოტყუებაო...

დიახ, ვერ ვაპატიეთ ჩივაძეს და ვერც ყიფიანს მართლა გრანდებთან მარცხი და აი, ახალი შესარჩევი ციკლის წინ ახალი მთავარი მწვრთნელის მოსვლასთან ერთად, ახალი იმედიც გაჩნდა. თან, ბედმაც როგორ გაგვიღიმა – ასეთ ჯგუფს ხომ სიზმარშიც ვერ ვინატრებდით. მაგრამ ერთი რამ დაგვავიწყდა – ჩვენთან, ევროპისაგან განსხვავებით, სხვა დროა! იგივე ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიასა და გერმანიას ოთხი-ხუთი საათით მარტო გრინვიჩის დროით არ ჩამოვრჩებით; თანაც, ოთხი-ხუთი საათით კი არა, ოთხი-ხუთი ათეული წლებით უკანა ვართ იმ საქმეში, ჩვენთან რომ სხვა რაღაცას წარმოადგენს, სხვაგან კი ფეხბურთს რომ ეძახიან...

არა, მართლაც რომელი საათია ჩვენთან? იქნებ სწორედ დროის ცვალებადობამ გამოიწვია ჩვენი ნაკრების აწ უკვე ყოფილი თავკაცის ვლადიმერ გუცაევის მეტად ორიგინალური (სხვა სიტყვას ვერ დავარქმევთ) გადაწყვეტილება ნაკრებიდან ნორვეგიასთან მატჩის შემდეგ წავალო? თუ წასვლას აპირებდა, ბარემ სლოვენიასთან უსახური ფრეს შემდეგ წასულიყო, ან იქნებ რაიმეს იმედი ჰქონდა და ვინმე ეტყოდა – არიქა, ბატონო ვოვა, უთქვენოდ ქართული ფეხბურთი არ

იხ. მე-3 გვ.

## კრივი საერთაშორისო ტურნირი

# ოქროს მედლით – გურჯაანში!




მულეს დიდი პატივი მიაგეს ივანოვოს ოლქის ქალაქ ნავალოკის მცხოვრებლებმა და ჩაატარეს მისი სახელობის საერთაშორისო ტურნირი 1981-82 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც 34 ქვეყნის მოკრივეები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ასპარეზობაში გამოდიოდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს დ. კვაჭაძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები გიგა მგელაძე (63,5 კგ), ნოდარ დვალიშვილი (75), ირაკლი იაშაღაშვილი (81) და გურჯაანელი ზაზა ლაზაშვილი (54), რომელმაც შესანიშნავად განვლო 3 სატურნირო ბრძოლა. ორ მათგანში ნოკაუტით გაიმარჯვა, და ფინალში გავიდა, სადაც მას საკმაოდ ძლიერი მეტოქე, უკრაინელი სპორტის ოსტატი ა. ნაზაროვი ელოდა. ზაზამ დასკვნითი ბრძოლა თავის სასარგებლოდ წარმართა და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე საშუალო წონის ნოდარ დვალიშვილს კი ვერცხლის მედალი ერგო.

* სამოცდაათიანი წლების ცნობილი მძიმეწონოსანი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი იგორ ვისოცკი იმითაცაა ცნობილი, რომ მის აქტივშია მეტად საპატიო გამარჯვება სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ კუბელ თეოფილო სტივენსონთან. სახელოვან თანამემა-

## მკლავჭიდი მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი

# „ოქროს დათვი" – ქართველია

„ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ, რომ მოსკოვში მკლავჭიდელთა დიდ საერთაშორისო X საიუბილეო ტურნირზე, რომელიც „ოქროს დათვის" სახელითაა ცნობილი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ვახტანგ ჯავახაძემ აბსოლუტურ წონაში მოიპოვა გამარჯვება და ყველაზე საპატიო პრიზს დაეუფლა. ჩვენს ათლეტს რუსეთის წარმომადგენელი, მსოფლიო ჩემპიონი იბრაგიმოვი დაუმარცხებია. ახლა ცნობილი გახდა საბოლოო შედეგები. მძიმე წონაში უძლიერესი იყო ერეკლე გურჩიანი, რომელმაც თავისივე თანაგუნდელს დავით ჭელიძეს აჯობა. ვერცხლის მედალი ხვდა აგრეთვე, აჭარელ... რად უკვე 90 კგ-ში (ამ წონაში გუნდის ინტერესებისათვის იასპარეზა) ვეფხია სამხარაძეს, ასეთივე ჯილდო მიიღო რონ ნოზაძემაც (73). მოყვარულთა შორის ოქროს მედალოსანი გახდა ბესიკ ლეკიაშვილი (65), მეორე იყო გია ქოროღლიშვილი (73), კოტე რაზმაძე (81) და კახა აფციაური (მძიმე).

პარალელურად ჩატარდა ინვალიდთა ტურნირი, სადაც აბსოლუტურ




წონაში გამარჯვებული გამოვიდა გიორგი კეშელაშვილი.

ნაკრები გუნდი, მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიავლინა ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირზე (ბუმათე).

### გვიმრავლოს!

# „ჯვრის უღელტეხილის" პრეზენტაცია ჯვრის უღელტეხილზე

ლევან პირველის თანადგომა ქართული სპორტისადმი და კერძოდ, სამთო-სათხილამურო დისციპლინებისადმი ბევრისთვის კარგადაა ცნობილი.. მისი, როგორც ქველმოქმედის სახელი არაერთხელ მოგვიხსენიებია ჩვენს გაზეთში, ამ მხრივაც სამაგალითო პიროვნებასთან, გოგი თოფაძესთან ერთად.

ლევან პირველი სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და კომპანია „ანგლო-ელის" პრეზიდენტია. სწორედ მისი თაოსნობით აიგო ახალი კომფორტაბელური სასტუმრო გუდაურში. ეს არის ორი პატარა ოთხსართულიანი ნაგებობა, რომელსაც კეთილმოწყობილი 40 სასტუმრო ნომერი გააჩნია. სასტუმროს აქვს საუნა, საცურაო აუზი, დამსვენებლების კვებას უზრუნველყოფს შესანიშნავი ქართული სამზარეულო.

არის სხვა სიახლეც. როგორც ლევან პირველმა სასტუმროს პრეზენტაციაზე განაცხადა, მალე შეიძენენ ცხენებსაც, დაინერგება საცხენოსნო ტურიზმი, რაც გაამრავალფეროვნებს დამსვენებელთა პროგრამას.

პირველ დამსვენებლებს ეს ახალი ძერა მაისიდან მიიღებს.

სოფიო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" სპეც. კორ., გუდაური

### ცნობა სფფ-დან

# გუცაევს განცხადება არ დაუწერია

საქართველოსა და ნორვეგიის ეროვნული ნაკრებების 28 აპრილის მატჩის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჟურნალისტებისა და ფეხბურთის გულშემატკივრების უამრავი სატელეფონო ზარი გაისმა, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო ინფორმაციის მოპოვება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრნელის ვლადიმერ გუცაევის ნაკრებიდან წასვლის შესახებ. სფფ ოფიციალურად აცხადებს, რომ გუცაევს გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადებით ჯერ არ მიუმართავს. გუშინ დილიდან სფფ-ს ხელმძღვანელებს შეხვედრა ჰქონდათ ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ომდალთან, სადაც დააზუსტეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ნორვეგიაში გამგზავრება-დაბინავების და სხვა საკითხები. ყველა ეს პრობლემა პრაქტიკულად უკვე მოგვარებულია.



# კადეტებმა ევროპის ფინალურ ეტაპზე გააღწიეს

ნამდვილად სასიხარულოა, რომ სპორტის სათამაშო სახეობებში ჩვენს ქვეყანაში აშკარა ჩავარდნების შემდეგ, მომავლის რაღაც იმედი მაინც გამოკრთა – კადეტ კალათბურთელთა ნაკრებმა კვიპროსში გამართულ შესარჩევ ტურნირში პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. იქ კი უკვე 12 რჩეული იბრძოლებს წარმატებისთვის.

ამ ტურნირისათვის ჩვენი ნაკრები უფროსი მწვრთნელის ნუგზარ ჭეიშვილის ხელმძღვანელობით და ფედერაციის ხელშეწყობით, შეძლებისდაგვარად მოემზადა, მაგრამ მძიმე მგზავრობამ, უხეირო მსაჯობასთან ერთად, თავისი კვალი მაინც დაამჩნია ნაკრების გამოსვლას. კიდევ კარგი, ჩვენები ფსიქოლოგიურადაც კარგად იყვნენ მომზადებულები, რაც, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მთავარი გარანტი აღმოჩნდა საბოლოო წარმატებაში. სამწუხაროდ, კვიპროსშიც იჩინა თავი მუდმივმა პრობლემამ, როცა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მსაჯებს ვერ ვიახლებთ, რის გამო მკაცრად ვისჯებით... ისევ მსაჯებისგან. ახლა ნაკრებს ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე და ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანიც ახლდნენ და ისინიც პირისპირ აღმოჩნდნენ ყველა იმ პრობლემასთან, რომელსაც ჩვენი გუნდები აწყდებიან უცხოეთში.

როგორც ადრე გაუწყეთ, ქართველ კადეტებს ბოლო ორი შეხვედრიდან ერთი უნდა მოეგოთ და ფინალის საგზური განაღდებული ექნებოდათ. ის ერთი მატჩი, რომელმაც ჩვენებს ესოდენ ნანატრი წარმატება მოუტანა, თვით ასპარეზობის მასპინძლებთან შეხვედრა იყო, რომელიც ნუგზარ ჭეიშვილმა თავისი შეგირდებით დამაჯერებლად მოიგო – 92:59. დანარჩენი 4 მატჩი ასე დასრულდა: საქართველო – საფრანგეთი – 55:60, საქართველო – ესპანეთი – 71:62, საქართველო – ბელგია – 83:64, საქართველო – გერმანია – 84:88

# ჯანაშია ყველაზე ძვირფასია

მოსკოვის „ლოკომოტივისათვის" რომელი ფეხბურთელია ყველაზე ძვირფასი? ამ ნომინაციით ჩატარებულ „სპორტ-ექსპრესის" გამოკითხვაში 1765 კაცმა ასეთი პასუხი გასცა: ჯანაშია – (769) 43,6 %, დროზდოვი – (66) 3,7 %, ნიგმატულინი (296) 16,8 %, სმერტინი – (494) 28,0 %, ჩუგაინოვი – (140) 7,9 %.

**ძიუდო** ახალგაზრდები ანკარის საერთაშორისო ტურნირი

# ხანჯალიაშვილი ინყებს...


ზვიად ხანჯალიაშვილი

ზვიად ხანჯალიაშვილი 16 წლის თელაველი გოლიათია. იგი 205 სმ. სიმაღლისაა და 115 კგ-ს იწონის. შარშანდლამდე სპორტის არც ერთ სახეობაში არ მოუსინჯავს ძალა, მერე ძიუდოსადმი ინტერესი გაუჩნდა და საქართველოს პირველობაც მოიგო. მაშინვე დაადგეს თვალი ნაკრების მწვრთნელებმა და ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ამ ერთი თვის წინათ, ბაკურიანში ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდშიც მიიწვია შეკრებაზე. ახლა ზვიადი ჩვენს ნაკრებს ახლდა ანკარის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც 14-16 წლის ახალგაზრდებისთვის ჩატარდა და ძირითად მიზნად ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისთვის უძლიერესების შერჩევასაც ისახავდა მიზნად. ზვიად ხანჯალიაშვილმა პირდაპირ სასწაული მოახდინა – ყველა მეტოქეს ძალიან იოლად გაუსწორდა და უძლიერესის სახელი მოიპოვა. საერთოდ, ამ ტურნირმა, რომელიც 8 ქვეყნის მონაწილეობით ჩატარდა, ქართველთა ტრიუმფით ჩაიარა (გუნდი თბილისის მერიამ დააფინანსა). 17 მედალი წამოიღეს ჩვენებმა ანკარიდან, უშედეგოდ მხოლოდ ოთხი ჩვენიანი დარჩა. ამ ჯილდოებიდან 5 ოქროსია, ამდენივე ვერცხლისა და 7 – ბრინჯაოსი. გუნდურ პირველობაში კი საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზე გავიდა, მეორე იყო თურქეთის, მესამე – უზბეკეთის წარმომადგენლები.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.** *პირველი ადგილები:* გოგიტა მეზვრიშვილი (50 კგ, თბილისი), ნიკა ელციევი (53, ორს, თბილისი), ზეზვა ედელაშვილი (ახმეტა, თბილისი), დავით ქევხიშვილი (66, თბილისი), ზვიად ხანჯალიაშვილი. *მეორე ადგილები:* დათო კიკნაძე (მძიმე), დავით სახვაძე (55, ორს, ორივე – გორი), ჯაბა გოგიშვილი 90, თბილისი), ზვიად თორთლაძე (73, ქარელი), რუსლან გედენიძე (50), დათო სეფისკვერაძე (66, ორივე – ქუთაისი), გიორგი სინჯიკაშვილი (60), ლევან ითაშვილი (73, ორივე – გარდაბანი), გიორგი ბიძიკაშვილი (73, დუშეთი), მინდია ბოდაველი (81, თბილისი), გიორგი ყიზილაშვილი (81,ახმეტა), დურმიშხან ბერუაშვილი (მძიმე, გორი). ნაკრებს ახლდა მწვრთნელი ვაჟა ბალხამიშვილი (ორს).

### ჭაბუკები კი შინ ოთხი მედლით დაბრუნდნენ

ჭაბუკ (1986-87 წ.წ. დაბ.) ძიუდოისტთა ეს ასპარეზობა გაიმართა ტალინში საერთაშორისო ტურნირის ეგიდით და მასში მონაწილეობდა 8 ქვეყნის გუნდი. გამგზავრების ფული თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ გაიღო, ტალინში კი ყველა ხარჯები მასპინძლებმა გაწიეს. ჩვენი ჭაბუკებიდან პირველობა მოიპოვეს ბექა ბექაურმა (50 კგ) და გიორგი დემეტრაშვილმა (60), მეორე ადგილზე გავიდნენ გივი დემეტრაშვილი (46) და გიორგი ცხოვრებაძე (32). ჩვენებს გუნდური პირველობაც ხვდათ. მეორე – ლატვიის, მესამე კი ესტონეთის გუნდი იყო.

**მაგიდის ჩოგბურთი. თბილისის ღია პირველობა**

# ... და კიდევ ბორჯომი, ბათუმი, რუსთავი, ბაქო

ქართულ სპორტს ისე გაუჭირდა, საქართველოს პირველობები, უსახსრობის გამო, სპორტის ოლიმპიურ სახეობებშიც ველარ ტარდება, რაც ესოდენ აუცილებელია სალიცენზიო საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის წინ ძალების შესამოწმებლად. ასეთ ვითარებაში, მართლაც რომ ვაჟკაცობაა ჩაატარო საქალაქო პირველობები, თანაც არაოლიმპიურ სახეობებში, რასაც ასე განსაცვიფრებლად ახერხებს თბილისის მერიის სპორტის სამმართველო (ვ. კანკავა). ცხადია, მერია და მისი სპორტული უწყება ყურადღებას არც ჩვენს ოლიმპიურ სპორტს აკლებს. იმ, უკვე ვრცელ ნუსხას, სადაც დედაქალაქის შეჯიბრებები ჩატარდა, ახლა მაგიდის ჩოგბურთიც მიემატა. თანაც, ეს იყო თბილისის ღია პირველობა, რომელშიაც ბაქოს, ბათუმის, რუსთავის და ბორჯომის გუნდებიც მონაწილეობდნენ. ბათუმში რომ სპორტის ეს სახეობა პოპულარულია, არ არის გასაკვირი, იქ ხომ თვით სარქის სარხოიანის სკოლაც მუშაობს. მაგრამ უთუოდ მისასალმებელია რუსთაველთა და განსაკუთრებით ბორჯომელთა ყურადღება სპორტის ამ ყველასთვის ხელმისაწვდომი სახეობებისადმი.

*ჭაბუკები:* 1 ელდარ აფიარტულინი, 2. კარმინ მულიევი (ორივე — ბაქო), 3. კოტე ხარატი (თბილისი); *გოგონები:* 1. თეონა მაისურაძე, 2. მარინა ეთერიანი, 3. მაია ბარამიძე (სამივე — ბათუმი). *გუნდური:* 1. ბათუმი, 2. თბილისი, 3. ბაქო. *ქალები:* 1. ხათუნა აივაზოვა (თბილისი), 2. ვერიკო ბარამიძე (ბათუმი), 3. მაგდა თაბუკაშვილი (რუსთავი); *ვაჟები:* 1. ნიკო არჩვაძე, 2. ლევან ბურკაძე (ორივე — თბილისი), 3. რამილ ჯაფაროვა (ბაქო). *გუნდური:* 1. თბილისი, 2. ბათუმი, 3. რუსთავი. საერთო გუნდური ჩათვლა: 1. თბილისი, 2. ბათუმი, 3. ბაქო.

**მწვრთნელები**

# ორგზის ოლიმპიელის აღმზრდელი რატომ არ უნდა იყოს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი?

ბაკურიანი დიდხანს იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ზამთრის მარგალიტად წოდებული სათხილამურო ცენტრი და რესპუბლიკური თუ საკავშირო სპორტული ორგანიზაციები თითქოს ერთმანეთსაც კი ეჯიბრებოდნენ ვინ მეტს გააკეთებდა ამ კურორტისთვის. ასე გაჩნდა ახალი სპორტული ბაზები, სასტუმროები, სპორტული სკოლები. ერთერთი სპორტსკოლა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ“ გახსნა და მის დირექტორად გრიშა ასლანიანი დაინიშნა. სკოლა დღესაც არსებობს, მაგრამ წარსულის დიდებით. არსებობს და სულდგმულობს ერთი თავდადებული და ქვეყნის პატრიოტი კაცის, იმავე გრიშა ასლანიანის დაუღალავი და უანგარო გარჯით. როგორც ხალხში იტყვიან, „კერია არ გააციაო“, ისეა ამ კაცის და მისი, დღეს უკვე ყველასგან მივიწყებული ბავშვთა სპორტსკოლის საქმე, სკოლისა, რომელიც მრავალთაგან ახლა ერადერთია შემორჩენილი დაბაში. უანგარობითო, რომ ვთქვით, არაფერი გადაგვიჭარბებია – დირექტორი, რომელიც თავად ყველაზე მეტ მოზარდს ავარჯიშებს და მწვრთნელები, დიდზე დიდი ხანია, უხელფასოდ მუშაობენ.


გრიშა ასლანიანი

**გრიშა ასლანიანი. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი სათხილამურო სპორტის განხრით და პედაგოგის სპეციალობით. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მუშაობდა საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად, 2 წელიწადი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მოიწვიეს. ამჟამად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია, თუ შეიძლება დღევანდელ ყოფაში რომელიმე სპორტულ გუნდს სრულფასოვანი ნაკრები ეწოდოს.**

გრიშა მასწავლებელო! ასე მიმართავს ამ კაცს მთელი ბაკურიანი – მოსწავლეებიც და მშობლებიც. მოსწავლეები – გასაგებია, მშობლები კი ამით იმ დიდ სიყვარულსაც გამოხატავენ, რომელსაც ეს შესანიშნავი აღმზრდელი და პიროვნება იმსახურებს.

— ჩემთან 42 ბავშვი მეცადინეობს, მათი ერთადერთი გატაცება სათხილამურო სპორტია. 9 წელიწადია არც ხელფასი ვიცით რა არის, არც ინვენტარი, ისევ და ისევ მოზარდთა მშობლები გვიდგანან მხარში – ამბობს ბატონი გრიშა. გასაოცარია, რომ ამ სიტყვებში სულაც არ იგრძნობა საყვედური, უბრალოდ, ფაქტს აღნიშნავს.

ჩვენ შარშანაც ვნახეთ რა იყო ბაკურიანი და წლევანდელთან შედარება არ შეიძლება. დაბა გამოცოცხლებულია, ამუშავდა სასტუმროები და საბაგირო გზები, თვით ბაკურიანელებმა შეძლებისდაგვარად კეთილმოაწყვეს ტრასები და პატარა ზომის ტრამპლინები. შეჯიბრებებიც ბლომად ჩატარდა, მათ შორის გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. ახლა ცნობილ ბაკურიანის პარკშიც მუშაობს პატარა საბაგირო და, იცით, ვისი შემწეობით? გრიშა ასლანიანს დაუმონტაჟებია საკუთარი სახსრებით.

42 მოზარდი, რომელიც სამთოთხილამურებში ოსტატდება, სულ მალე ღირსეულად გააგრძელებს უფროსი თაობების ტრადიციებს. ტრადიციებს კი მაგიური ძალა აქვს – ყველაფერთან ერთად იგი მომავალი თაობისთვის დიდ სპორტში თავდაჯერებით მისასვლელი ხიდია. უნდა ნახოთ, როგორ ამაყობენ პატარა სპორტსმენები ბაკურიანელ ზურაბ ჯიჯიშვილის სახელით. ზურაბმა უკვე ორჯერ იასპარეზა

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში და მეორე ცდა ნაგანოში, ასე ვთქვათ, წარმატებული გამოდგა – ზურაბ ჯიჯიშვილი პირველი ქართველი სამთომოთხილამურეა, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში XIV ადგილი დაიკავა. რაღა თქმა უნდა, მოზარდებმა იციან, რომ ზურაბიც გრიშა მასწავლებლის შეგირდი იყო (ახლა იგი უცხოეთშია). გრიშა ასლანიანის აღზრდილები არიან აგრეთვე საქართველოს და ყოფილი სსრ კავშირის ნაკრების წევრები, სხვადასხვა შეჯიბრებებში გამარჯვებულები და პრიზიორები. გიორგი ხვედელიძე, ავთანდილ ჯანგობეგოვი, დათო ნასყიდაშვილი, რობერტ მახარაშვილი, სხვები და სხვები მისაბაძი მაგალითია 90-იანი წლების თაობისთვის. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასეთი კაცი, თურმე ჯერ კიდევ არ ყოფილა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ეს კაცი, უხმაუროდ აკეთებს თავის საქმეს და იქნებ ამიტომაც ვერ „შენიშნა“ შესაბამისმა ფედერაციამ.

ბაკურიანი ისევ ხალხმრავალი გახდა მოსახლეობით. ბევრ მოზარდს (ისინი სამი წლიდან დგებიან თხილამურებზე) სურს ჩაეწეროს სპორტულ სკოლაში, მაგრამ ისევ და ისევ მწვრთნელების (უხელფასობა), და ინვენტარის უქონლობის გამო გრიშა მასწავლებელს უჭირს ყველას მოზიდვა სექციებში. სხვა რაღა უნდა ვთქვათ, როცა სკოლას სულ მხოლოდ 13 სათხილამურო ჯოხი აქვს.

ცხადია, ყველა ბაკურიანელი მოზარდის ოცნება საერთაშორისო სარბიელზე გასვლაა, გავლენ კიდეც, ოღონ ხელშეწყობა ესაჭიროებათ. თავად ბაკურიანელებს, რაც შეუძლიათ მხარში უდგანან მწვრთნელებს და მის შეგირდებს. მშობლებზე უკვე ვთქვით. ზრუნვას არც დაბის საკრებულო (კოტე მიქაბერიძე), ვეტერანი ბაკურიანელი სპორტსმენები და ბორჯომის რაიონის გამგეობა (ვაჟა ბერიძე) აკლებენ, მაგრამ იმ მოთხოვნებს, რაც მიზანმიმართული სისტემატური მუშაობისთვისაა საჭირო, მათი შესაძლებლობებიც ვერ სწვდება. იქნებ, სპორტსკოლას ვინმე შეძლებული პატრონი გამოუჩნდეს. უდავოა, დადგება დრო და ინვენსტორები მოზღვავდებიან, მაგრამ მანამდე? დღეს ესაა მთავარი. მოზარდებს ახლავე უნდა მიხედვა, რომ თაობათა შორის მემკვიდრეობითობა არ გაწყდეს...

**თ. თომაშვილი**
**„ლელოს“ სპეც. კორ., ბაკურიანი**

**კრივი** დ. კვაჭაძის სახელობის ტურნირი

# კახელებიც მიითვალეთ...

ხანდაზმულობით კადეტ მოკრივეთა ამ საერთაშორისო შეჯიბრებას, ჩვენში, ვახტანგ ბალავაძის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირი თუ გაუწევს „მეტოქეობას“, თორემ სხვა სახეობებში მას ტოლი აშკარად არ ჰყავს და ის, რომ მოკრივეთა ტრადიციულს ჩავარდნა არ ჰქონია, ეს, რა თქმა უნდა, განათლების სამინისტროს დავით კვაჭაძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტსკოლის მცდელობითაა, რომელმაც ამჯერად მეთექვსმეტედ მოუყარა თავი თბილისში ტყავის ხელთათმანის ჭაბუკ თაყვანისმცემლებს. მათი რიცხვი 140-ს აღემატებოდა. ისინი, უმთავრესად, აზერბაიჯანელები და სომხეთის წარმომადგენლები იყვნენ და ასეთი ინტერესიც სავსებით გასაგებია. საქმე ისაა, რომ ამ ზაფხულს ბაქო ამ ასაკის (1983-84 წ.წ. დაბადებულნი) მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს და აქ საშუალება ჰქონდათ „საქმეში“ გასცნობოდნენ პოტენციურ მეტოქეებს.

და კიდევ, თვალს თუ გადავავლებთ ამ ტურნირის წარსულს, დავინახავთ რომ, იგი ჭაბუკ მოკრივეთათვის დიდი რინგისაკენ მიმავალი გზის ერთგვარ პარმაღად ქცეულა, ვინაიდან აქ აუდგამთ ფეხი ყოფილი საკავშირო, ევროპის, მსოფლიოს პირველობების გამარჯვებულებს თვით ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა ჩათვლით. და, საბედნიეროდ, დ. კვაჭაძის ტურნირმა ამჯერადაც უერთგულა თავის ტრადიციას, რამდენიმე იმედისმომცემი სახელი წარმოაჩინა. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის ფოთელ ო. ოჩიგავაზე, რომელმაც ფოთელ მოკრივეთა ბოლოდროინდელი წარმატებების ღირსეულ გამგრძელებლად მოგვევლინა. მან ოსტატურად წარმართა ბრძოლები, განსაკუთრებით კი ფინალი და ღირსეულად გაიმარჯვა. ფოთელის გამარჯვება, რა თქმა უნდა, ბევრმა ჩვეულებრივ ამბად აღიქვა, ვინაიდან გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ‹...›ამ ახლა ჩვენი კრივის ცენტრმა ამ ზღვისპირა ქალაქში გადაინაცვლა. აი, კახეთის რეგიონის წარმომადგენელთა წარმატება კი აშკარად პატარა სენსაციაა, რადგან მსგავსი ტრადიცია კრივში მათ არ ჰქონიათ, და იგი, ალბათ, ახლა იქმნება. იქაური მწვრთნელის თამაზ ლაზაშვილის აღზრდილებმა 60 კგ წონის დათო არჯევანიშვილმა (იგი თბილისის სახელით გამოდიოდა) და 66 კგ წონის იოსებ ბასილაშვილმა ისახელეს თავი და პირველობა მოიპოვეს. უნდა ვივარაუდოთ, თუ მწვრთნელ თამაზ ლაზაშვილს, რომელიც გურჯაანში მოღვაწეობს, ადგილობრივი მმართველობისა და გამგებლის ხელშეწყობა ექნება, კახეთშიც აღიზრდებიან ქართული კრივის ღირსეული მემკვიდრეები.

**42 კგ:** 1. ზვიად ხადური (რუსთავი), 2. დავით ხალათიანი, 3. აშოტ დანელიანი (ორივე — სომხეთი), ვარუჟან ბაროლიანი (ნინოწმინდა);
**45 კგ:** 1. ლაშა ოჩიგავა (ფოთი), 2. ვამეხ ტურაშვილი (გორი), 3. გრიგოლ ყურაშვილი (ქუთაისი), არტურ არუთინიანი (სომხეთი);
**48 კგ:** 1. ასლან ბაირამოვი (ბაქო), 2. ხვიჩა პაპიაშვილი (თბილისი), 3. გიგა მანია (ქუთაისი), არტიომ გრიგორიანი (სომხეთი);
**51 კგ:** 1. გიორგი კანდელაკი (გორი), 2. ემილ მაგერამოვი (ბაქო), 3. გიორგი გურაბანიძე (თბილისი), ხიკმენ ეფენდიევი (ბაქო);
**54 კგ:** 1. არმან ბალდასარიანი (სომხეთი), 2. გიორგი ყიფიანი (თბილისი), 3. რაშიდ ისმაილოვი (ბაქო), კობა ქარქაშაძე (ფოთი).
**57 კგ: I ჯგ.** 1. ლაშა გურაბანიძე (თბილისი), 2. დავით ნიგურიანი (მესტია), 3. კარენ ბაღბუდარიანი (სომხეთი); ზვიად ციკოლია (თბილისი);
**57 კგ: II ჯგ.** 1. დათო სუქიაშვილი


დ. კვაჭაძის პრიზის მფლობელი დავით არჯევანიშვილი

(თბილისი), 2. ლაშა ადამია (ფოთი), 3. არმენ მელიქიანი (სომხეთი), ზურაბ ნადირაძე (თბილისი);
**60 კგ:** 1. დათო არჯევანიშვილი (თბილისი), 2. გიორგი მამნიაშვილი (თელავი), 3. ფაშა შამილოვი (ბაქო), ერიკ პოლოსიანი (თბილისი);
**63 კგ: I ჯგ.** 1. ეხტიბარ ტაგიევი (ბაქო), 2. ზაზა ხარაზია, 3. გიორგი ცერცვაძე, გიორგი ჭინჭარაული (სამივე — თბილისი);
**63 კგ: II ჯგ.** 1. მამუკა გიგანი (გარდაბანი), 2. აჩიკო ხალულაშვილი 3. დათო მოსიაშვილი (ორივე — თბილისი), ნარიმან ნადირაშვილი (ფოთი);
**66 კგ: I ჯგ.** 1. იოსებ ბასილაშვილი (თელავი), 2. მალხაზ კოკაური (ვარიანი), 3. გიორგი ტალახაძე (ზუგდიდი), ალექსანდრე დათაშვილი (თბილისი);
**66 კგ: II ჯგ** 1. ლაშა აკლემაშვილი (ახალციხე), 2. თორნიკე გრიკაშვილი (თელავი), 3. იური თომაშვილი (ზესტაფონი), გიორგი დედაბრიშვილი (გორი);
**69 კგ: I ჯგ.** 1. ირაკლი ლიპარტელიანი (ქუთაისი), 2. გიგა კალანდია (თბილისი), 3. კახა ნასყიდაშვილი (ვარიანი), გიორგი მელაძე (ახალციხე);
**69 კგ: II ჯგ.** 1. ზურაბ ფალიანი (მესტია), 2. აჩიკო ბირთველიშვილი (გორი), 3. სერგო პეტროსიანი, ზურაბ მლებრიშვილი (ორივე — თბილისი);
**73 კგ:** 1. ელნურ გაჯიევი (ბაქო), 2. გიორგი აბულაძე (ვარიანი), 3. ნიკო ტაკაშვილი, ალექსი ყაზახაშვილი (ორივე — თბილისი);
**77 კგ:** 1. ხვიჩა მსტოევი (თბილისი), 2. რუსლან ალიმურადოვი (ბაქო), 3. ბესარიონ ხუტუაშვილი (თელავი), დავით თევდორაძე (ლაგოდეხი);
**81 კგ:** 1. ლაშა აბულაძე (ზესტაფონი), 2. გიორგი მაზიაშვილი (ვარიანი), 3. ზურა ქართლელიშვილი (გურჯაანი);
**+81 კგ:** 1. ამილ ქერიმოვი (ბაქო), 2. რუზგენ ქარდავა, 3. ვახტანგ მაისურაძე (ორივე — თბილისი), ვალერი გაგნიძე (თელავი).

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო წარსულში მოკრივე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ ტუსკია.

მთავარი მდივანი — „გაბა“-ს ეგიდით საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვახტანგ ყელიაშვილი.

**ჯ. უნგიაძე**

## საქართველო -ნორვეგია 1–4

***საქართველო:*** ტოგონიძე, კალაძე, დიდავა, შეყილაძე, (ფოფხაძე, 46), წერეთელი, რეხვიაშვილი (კიკნაძე, 83), ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია (დემეტრაძე, 46), ჯანაშია, კობიაშვილი.
***ნორვეგია:*** მირე, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, პედერსენი, ჰაალანდი, ივერსენი, მიუკლანდი, სოლბაკენი, ტორე-ანდრე ფლო (კარეუ, 85), სოლსკიაერი (სტრანდი,46), რუდი (რისეტი, 87).
***გოლები:*** ივერსენი (17), ფლო (27,38), სოლსკიაერი (37), ჯანაშია (58).
***მსაჯი:*** შანდორ პული (უნგრეთი).

## ახალგაზრდული გუნდები 0–3

***საქართველო:*** ჭურაძე, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, დავითნიძე, მახვილაძე, დარასელია (ჩხეტიანი, 71), ყიფიანი (ჩომახიძე, 62), წიტაიშვილი (მეგრელაძე, 71), აშვეთია, გემეზაშვილი.
***ნორვეგია:*** ბაარდსენი, ოლსენი (სტეფენსენი, 46), სტეენი, კიპე, რილსე, ლანგე, ანდერსენი, ოპხაუგი (დალი, 72), ნიუკლანდი, ჰასელგარდი, სუნდგოტი (ნორმანი, 85).
***გოლები:*** ანდერსენი (10), რილსე (80), ჰასელგარდი (90).
გააფრთხილეს: ოლსენი, ოპხაუტი, ლანგე, ანდერსენი, ნიულანდი, ჰასელგარტი.
***გააძევეს:*** დავითნიძე (53).
მსაჯი: დ. ნიკოლასი (შვეიცარია).

# ფეხბურთის დროით რომელი საათია საქართველოში?

*(პირველი გვერდიდან)*

არსებებსო? არა, იმაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ, გუცაევის ნაცვლად 28 აპრილს სხვა ვინმე რომ ყოფილიყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ნორვეგიელებს უსათუოდ დავამარცხებდითო. მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებული ვართ — საქართველოს ნაკრები ინტრიგებით სავსე გუნდი კი არა, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი იქნებოდა, ისეთი, როგორიც ჩივაძის, ანდა, ყიფიანის დროს იყო; რომ შემადგენლობაც სხვანაირი, უფრო ზუსტად, უფრო ოპტიმალური (გნებავთ, ძლიერი) იქნებოდა; რომ რიგი წამყვანი ფეხბურთელები მაინცდამაინც ასეთი პრინციპული თამაშის წინ არ მიიღებდნენ ტრავმებს...

მაგრამ, ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო, სინამდვილეში კი მივიღეთ ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უსამარცხვინოესი დღე — მოგვიგო გუნდმა, რომელიც მარტო სიმაღლით კი არა, ყველაფრით ათი თავით ზემოდან დაგვყურებდა. ანუ, მოიგო იმან, ვინც ფეხბურთის თამაში უკეთ იცის და მეორე ტაიმში რომ არ დავენდეთ (სადამდე მივედით?), ანდორასა და სან-მარინოს ნაკრებებს (აი, 6-7 ბურთით რომ აგებენ შეხვედრებს) ამოვუდგებოდით გვერდში. არადა, მატჩის წინ ქართული ხასიათიდან გამომდინარე, პროგნოზები იყო, იცოცხლეთ — „მერე რა, რომ მაღლები და ათლეტურები არიან, მაინც მოვუგებთ“, „ტექნიკურად ნორვეგიელები აშკარად მოიკოჭლებენ და ჩვენებს ამ შემთხვევაში წინ რა დაუდგებაო“ და ასე შემდეგ. ახლა სტუმრების მატჩისწინა განწყობას არ იკითხავთ? თითქმის ყველა, ფეხბურთელი იქნებოდა თუ მთავარი მწვრთნელი, ერთხმად იმეორებდა, რომ ფრეზეც თანახმა იქნებოდნენ. გესმით, ფრეზე ვიქნებითო თანახმა. სასაცილოდ გეჩვენებათ, ალბათ, უკვე მატჩის შემდეგ სტუმართა ეს სიტყვები, არა? ან ის ფაქტიც რად ღირს, როცა ასევე მატჩის წინ ნორვეგიელთა თავკაცმა ნილს სემბმა კატეგორიულად გამორიცხა სასტარტო შემადგენლობაში ორი მართლაც „ვარსკვლავის“ — ტორე ანდრე ფლოსა და ოლე-გუნარ სოლსკიაერის თამაში. არადა, ორივე ეს ჩინებული ფორვარდი, იმ საღამოს, ჩვენი დაცვის ამწიოკებლად და გამბითურებლად მოგვევლინა, ისევე როგორც მესამე თავდამსხმელი სტეფან ივერსენი. ისეც არ გვინდა ვინმემ გაიგოს, თითქოს ნორვეგიელებმა სამი თავდამსხმელით ითამაშეს და ამიტომ შეგვარცხვინეს. პირიქით, მათი ტაქტიკური განლაგება ტრადიციული იყო — 4-5-1, ოღონდ, მაღალი კლასის ფეხბურთელი იმიტომ განსხვავდება დაბალისგან, რომ სადაც უნდა ათამაშო, მაინც გუნდისათვის სარგებელს მოიტანს. იგივე, სოლსკიაერი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცენტრფორვარდი თბილისში მარჯვენა ნახევარმცველად (!) მოგვევლინა, ხოლო მისი კოლეგა ამპლუაში „ტოტენჰემიდან“ სტეფან ივერსენი სულაც ერთ-ერთი საყრდენის (!) ფუნქციებს ასრულებდა. ბევრი, ძალიან ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავდა ნორვეგიის ნაკრებს თბილისში ჩამოყვანილი, მაგრამ ერთი მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ხვდებით, ალბათ, რომ „ჩელსის“ განთქმულ გოლიადორ ტორე-ანდრე ფლოზეა საუბარი. საწყალი ჩვენი მცველები — ამ ტანმაღალმა დიდოსტატმა ფეხბურთის ისეთი გაკვეთილები ჩაუტარა მათ, რომ ალბათ დიდხანს არც დაავიწყდებათ. ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა — ფლოც, მიუკლანდიცა და სხვა ნორვეგიელებიც, თქვენ წარმოიდგინეთ და ბურთთან „ურთიერთობაშიც“ არ იყვნენ მწყრალად; ეგ კი არა, სტუმრები ხშირად ცდილობდნენ მეტოქისათვის ბურთის ფეხებშუა გაძვრენას — ესეც მსოფლიოში განთქმული ქართული ტექნიკა!..

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, როგორ ამოჰქონდათ ბურთი საკუთარი საჯარიმოდან. როგორ პრესინგს მიმართავდნენ მასპინძელთა უიშვიათესი შეტევისას; როგორ იყენებდნენ სტანდარტულ მდგომარეობებს (ამ კომპონენტში, ჩვენ ალბათ, მსოფლიო კლასიფიკაციაში ასეულს მიღმა ვიქნებით); ახლა ბურთს როგორ „იჭერდნენ“? მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ — ჩამოვიდა გუნდი, რომელსაც საკუთარ თავზე ძალიან, ალბათ, მეტოქის ყველა სუსტი თუ ძლიერი (თუკი ასეთი არსებობს) მხარე დიდ „ხუთიანზე“ ჰქონდა შესწავლილი და პირველი 45 წუთი, ჟარგონულად რომ ვთქვათ, გადაგვირბინეს!.. მაგრამ, ისიც ვთქვათ გულახდილად, რომ ნორვეგია სულაც არ არის რაღაც ზებუნებრივი, ანუ უნაკლო ნაკრები. იგივე გერმანიისა და ინგლისელთა თბილისში გამარჯვებები რომ შევადაროთ ნორვეგიელთა ამ წარმატებას, აშკარად გამოჩნდებასხვაობა — ფოგთსისა და ჰოდლის გუნდებმა ისეთი ფეხბურთი უჩვენეს, აი მეტოქეს რომ არანაირ შანსს არ დაუტოვებ. რაც შეეხება ნორვეგიელთა თამაშს, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად შეიმჩნეოდა, რომ როგორც კი ჩვენები ტემპს მოუმატებდნენ და ინდივიდუალურ გარღვევებს განახორციელებდნენ (ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენგან უდავოდ საუკეთესოს, გოჩა ჯამარაულს ეხება), მათი დაცვა აშკარად დაბნეული გამოიყურებოდა. კი, შეიძლება ამ შემთხვევაში იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ სტუმრებს დაცვაში ოთხი (!) ძირითადი ფეხბურთელი აკლდათ, რომლებიც „ლივერპულსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობენ (ვეგარდ ჰეგემი, სტიგ-ანგე ბიორნებიუ, რონი იონსენი და ჰენინგ ბერგი), მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, ნორვეგიელთა დაცვა აშკარად არ წარმოადგენს აუღებელ „ბასტიონს“. ბოლო-ბოლო, რაღა შორს მივდივართ — იგივე ლატვიის ნაკრებმა ოსლოში ხომ სამი გოლი გაუტანა ნორვეგიელებს, ხოლო ალბანელებმა — ორი...

...ახლა კი, ალბათ, ჩვენს უმთავრეს სატკივარზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. ძნელია, შეაფასო იმ გუნდის თამაში, რომელიც პირველ 45 წუთში ასეთ მწარე ნოკაუტში აღმოჩნდება. და მაინც, ვიტყვით, რომ ასეთი ჩავარდნის უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, ისევ და ისევ, არასწორად არჩეული ტაქტიკა, პლუს შემადგენლობაც გახლდათ.

ყველაზე გასაკვირი კი გუცაევისგან ერთი ფორვარდით (მერე რა, რომ კარგი) თამაში გახლდათ — თან ეს ხდება იმ მატჩში, რომელშიც მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება? დიახ, აშკარად სჩანდა, რომ ზაზა ჯანაშია მარტო იყო პირველ ტაიმში, თანაც ვერაფრით დავადგინეთ იმ საღამოს თემურ ქეცბაიას ფუნქცია. იმ ქეცბაიასი, რომლის ნაკრებში დაბრუნება-არდაბრუნებაზე ბოლო დროს ასეთი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. ძნელი სათქმელია, მის თამაშს რაიმე შეფასება მისცე, მით უმეტეს, რომ თემურიმ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა. არა, ჩვეულ მონდომებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ... ჩვენ სხვა ქეცბაიას ვიცნობთ, დაუღლელს, მეტოქის კარზე „დაგეშილს“. თუმცა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ტრავმის გამო მისი თამაში საერთოდ სათუო იყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ალბათ, აჯობებდა რომ ქეცბაიას საერთოდ არ ეთამაშა...

და ისევ ქეცბაიაზე — მეორე ტაიმში მის ნაცვლად მინდორზე მეორე ფორვარდი, გიორგი დემეტრაძე შემოვიდა. როგორც მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე ჩვენი ნაკრების მეორე მწვრთნელმა ვლადიმერ პანოვმა განაცხადა, ქეცბაია ვლადიმერ გუცაევს შეუცვლია. თუმცა, სხვების (და, ძალიან ბევრის) თქმით, ქეცბაიას საკუთარი სურვილით მოუთხოვია შეცვლა...

ზემოთ ჯანაშიას „სიმარტოვეზე“ ვისაუბრეთ ამ თამაშში — არადა, სათადარიგოთა სკამზე დემეტრაძესთან ერთად მყარად იჯდა არჩილ არველაძეც. დემეტრაძეს, ასე თუ ისე, მაინც მოუწია მინდორზე გამოსვლა, აი არველაძე კვლავ არ ათამაშა გუცაევმა. დიახ, კვლავ იმიტომ ვიძახით, რომ შარშანაც და წელსაც მართლაც მშვენიერ ფორმაში მყოფ „ბრედას“ მთავარ გოლიადორს გუცაევი რატომღაც არ სწყალობდა. არადა, აჩიკოს იმას ნაღდად ვერ დასწამებს ვერავინ, საქართველოს ნაკრებში თამაში არ სურსო...

თუმცა, რა; მარტო არჩილ არველაძის არგამოყვანა იყო იმ დღეს გუცაევის მხრიდან გამოცანა? შეიძლება ვცდებით, მაგრამ რატომღაც არა გვგონია, რომ ბუნდესლიგაში ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად მოთამაშე ლევან ცქიტიშვილი ნაკრებს არ გამოადგებოდა. თანაც, ცქიტიშვილს ხომ რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში — „ლიბერო“ იქნება თუ მარცხენა მცველი, გნებავთ ცენტრალური ნახევარმცველის. მაგრამ, შემადგენლობას მთავარი მწვრთნელი ირჩევს და ალბათ, მან ჩათვალა საჭიროდ დიდი ხნის სათამაშო პრაქტიკის არმქონე გივი დიდავასა და გელა შეყილაძის გამოყვანა უფრო უპრიანად, ვიდრე იგივე ცქიტიშვილისა თუ ლევან სილაგაძის (ეს უკანასკნელი ბოლო სამი თამაშია თანაგუნდელებს მხოლოდ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებს თვალს). ანდა, როგორი ასახსნელია ჩვენი დაცვის ცენტრში მცველების ხაზზე თამაში, რომელიც, მართალია ახლა „მოდაშია“ ევროპაში, ოღონდ, ცოტა სხვაგვარი თამაში და, რაც მთავარია, სხვაგვარი შემსრულებლები გინდა. სამწუხაროდ, გვიან, ძალიან გვიან მიხვდა გუცაევი, რომ ხაზზე თამაში სრული კატასტროფის ტოლფასი იყო და მეორე ტაიმში ჩვენი გადაწყობილი დაცვა იდეალურად თუ არა (თან, რასაკვირველია, სტუმრებიც აღარ იკლავდნენ თავს), ნორმალურად მაინც გამოიყურებოდა — დიდავამ „ლიბეროს“ ადგილი დაიკავა, ხოლო ფოფხაძე მარჯვნივ განწესდა. ისე, სამარის „კრილია სოვეტოვის“ კაპიტანს (!) ზურაბ ფოფხაძეს თავიდანვე რომ ეთამაშა, ალბათ, თანაგუნდელებზე უკეთესად თუ არა, უარესად არ იასპარეზებდა. შეყილაძეზე და დიდავაზე უკვე ვთქვით — ამდენი ხნის უთამაშებლობამ თავისი კვალი დაამჩნია მათ თამაშს, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო „ლიერსის“ მცველის გელა შეყილაძის ამდენი შეცდომა; ისევე როგორც მარცხენა ფლანგზე კახი კალაძისა, რომელმაც პირწმინდად დათმო თავისი ფლანგი (ისევე როგორც „ბაიერნთან“ განმეორებით შეხვედრაში) და ეს, პირველ ყოვლისა, ალბათ, გადაღლილობის ბრალია. ისე, კალაძეზე კიდევ იმას დავძენდით, რომ, ალბათ, შეიძლებოდა მისი გამოყენება როგორც ფლოს პერსონალური მეურვისა — ბოლო-ბოლო წლინახევრის წინ ხომ კრისტიან ვიერის არ გაანძრევინა ფეხი...

საერთოდ, დაცვის ხაზზე ამდენს იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ეს ყველაზე სუსტი რგოლი იყო ნორვეგიელებთან მატჩში და ამან კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ჩვენთან კვალიფიციური მცველების კატასტროფული დეფიციტია. იქნებ ნაადრევად ჩამოვწერეთ შელია — ცხადაძის (ეს უკანასკნელი, მართალია ამჟამად ტრავმირებულია) დუეტი — ფაქტია, რომ დღეს მათზე უკეთესი ცენტრალური მცველები არ გვყავს... ისევე, როგორც არა გვყავს ხეირიანი მარჯვენა ნახევარმცველი და ახლა იმის იმედზე უნდა ვიყოთ, იქნებ რაც შეიძლება მალე ჩადგეს ჩვეულ ფორმაში კახი გოგიჩაიშვილი, თორემ გიორგი ნემსაძე რომ ფლანგის ფეხბურთელი არ არის და მისი ამპლუა საყრდენი ნახევარმცველობაა, ყველამ კარგად იცის.

დაბოლოს, ერთ ფეხბურთელზე, რომელიც ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ჩვენს გუნდში. ვინც ეს თამაში იხილა, მიხვდება, რომ გოჩა ჯამარაულზეა საუბარი. არა, ჯამარაულის დახვეწილი ტექნიკა თუ არანაკლებ დახვეწილი გადაცემები არავის უკვირს, მაგრამ იმ საღამოს იგი ჩვენი ნაკრების ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა. არა, მარტო იმას არ ვგულისხმობთ, რომ ზაზა ჯანაშიამ (ასევე გამორჩეული ფეხბურთელი ჩვენგან) ნაკრებში თავისი მორიგი გოლი ჯამარაულის გადაცემით გაიტანა; ან კიდევ როგორ შეაზანზარა ორჯერ „ციურიხის“ ნახევარმცველის დარტყმებმა ნორვეგიელთა მეკარე ტომას მირეს კარის ძელი, უბრალოდ, ჯამარაული თამაშობდა ისე, როგორც სჩვევია — გულიანად და რაც მთავარია, კაცურად! თუმცა, მოდით, ჩვენი ნაკრების რომელიმე მატჩი გავიხსენოთ, სადაც ჯამარაულს „თავისი“ თამაში არ ეჩვენებინა...

...28 აპრილი ქართველ გულშემატკივრებს არასდროს დაავიწყდებათ — ეროვნულ სტადიონზე განცდილ სირცხვილს და აბუჩად აგდებას წინ უძღოდა არანაკლებ სამარცხვინო (ჩვენთვის, რა თქმა უნდა) სანახაობა ჩვენი „მომავალი იმედის“ მონაწილეობით. „შევარდენის“ სტადიონზე ნორვეგიელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ქართველ თანატოლებს, პირდაპირ რომ ვთქვათ, თავსლაფი დაასხეს. აბა სხვაგვარად რა შეიძლება უწოდო იმ ფაქტს, როცა მეტოქე კარში ხეირიანად ერთხელაც არ დაგარტყმევინებს და სანაცვლოდ 90 წუთის მანძილზე საგოლე მომენტს ერთიმეორეს მიყოლებით შეგიქმნის. არ ვიცით, ბურთის სიმრგვალეს თუ ბედს (!) უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენმა „მომავალმა იმედებმა“ სამ ბურთზე მეტი არ გაუშვეს. ეგ კი არა, ერთხელ ჩვენს კარში ნორვეგიელებმა გოლი პირდაპირ აუტიდან (!!!) გაიტანეს — ასეთი რამ ფეხბურთში, შეიძლება არც მომხდარა. მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ და აჰა, ბატონო, ამითაც გავითქვამთ აწი სახელს...

დაბოლოს, ისევ ჩვენს უპირველეს გუნდს დავუბრუნდეთ, რომელიც თავის მეექვსე თავკაცს ელის — ვლადიმერ გუცაევმა გადაწყვეტილება აღარ შეცვალა და თანამდებობიდან გადადგა! არადა, ვინც უნდა მოვიდეს დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების სათავეში, ერთობ არასახარბიელო მემკვიდრეობა და, რაც მთავარია, ურთულესი გამოცდა ელის — უახლოესი მატჩი ჩვენებს ხომ ისევ ნორვეგიელებთან, ოღონდ ამჯერად უკვე მათ სტადიონზე ელით. იმ სტადიონზე, რომელზეც ლატვიის ნაკრებმა შეძლო მასპინძლების დამარცხება და ვინ იცის, იქნებ...

თანაც ახალი მწვრთნელის მოსვლას ხომ ახალი იმედები მოაქვს და ყველაფერი ზემოთქმულის მიუხედავად, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების თეორიული შანსი მაინც დარჩა!...

**გია ტუხაშვილი,**

ჩვენს ჯგუფში 28 აპრილს გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა. რიგაში, ლატვიის ნაკრებმა უმასპინძლა ალბანეთის ნაკრებს და ორივე გუნდის მცდელობის მიუხედავად, შეხვედრა დასრულდა ნულოვანი შედეგით.

**სატურნირო მდგომარეობა 30 აპრილისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 3 | 1 | 1 | 11–7 | 10 |
| ლატვია | 5 | 2 | 2 | 1 | 4–2 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5–4 | 6 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 5–5 | 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3–9 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 2–3 | 3 |

## VI ჯგუფი

ავსტრია — სან-მარინო 7-0 (გოლები: ვასტიჩი — 3, მაირლები — 2, ჰერცოგი, ამერჰაუზერი).

## ამხანაგური მატჩები

ბარსელონა — ბრაზილია 2-2 (ლუის ენრიკე, კოკუ; რონალდო, რივალდო).
ხორვატია — იტალია 0-0.
პოლონეთი — ჩეხეთი 2-1 (ტჟეჩიაკი, ვიშნიარეკი; ლოკვენცი).
სლოვენია — ფინეთი 1-1 (ზახოვიჩი; პაატალაინენი).
რუმინეთი — ბელგია 1-0 (განე).
გერმანია — შოტლანდია 0-1 (ატკინსონი).
დანია — სამხ. აფრიკა 1-1 (სანდი; მოშოუ).
უნგრეთი — ინგლისი 1-1 (ჰრუტკა; შირერი).
ირლანდია — შვეცია 2-0 (კავანა, კენედი).
მალტა — ისლანდია 1-2 (კუტაიარი; გუდიონსონი, დადასონი).
საბერძნეთი — შვეიცარია 1-1 (გეორგატოსი; ჰაასი).
ჰოლანდია — მაროკო 1-2 (ვან ნისტელროოი; ჰაჯი, ბასირი).

## მეტრეველის სახელობის პირველობა. II წრე.



**I ჯგუფი:** 35-ე სკ. (კანდელაკი) — ვაკე 85 3-2; ავაზა — I — იბერია 0-3 (გამოუცხადებლობა); კავკასიონი 2 — დინამო 0-5; კავკასიონი 2 — ვაკე-85 1-2; ამირანი 2 — ხრამი 2-0.
**II ჯგუფი:** ვაკე 2 — დინამო 2 0-3; ოლიმპიკი — ასს 2-1; 35-ე (გორგოშიძე) — ამირანი 1 0-6; ასს — ამირანი 0-1; 35-ე (გორგოშიძე) — კავკასიონი 1 0-0; ამირანი 1 — ოლიმპიკი 1-0; ვაკე 2 — 35-ე (გორგოშიძე) 2-0; 35-ე (შენგელია — კავკასიონი 1 10-1; დინამო 2 — შევარდენი-06 5-0;
**III ჯგუფი:** ლოკომოტივი 1 — სიონი 3-0 (გამოუცხადებლობა); მერანი — ლოკომოტივი 1 2-3; მერანი 91 — კორკოტა 7-0; ქარაფი — მერანი 91 1-7; კორკოტა — მამალაძე 2-1; ზოოვეტი — ვაკე 1 0-3; სიონი 2 — საგარეჯო 4-0; ლოკომოტივი 1 — ქარაფი 3-0 (გამოუცხადებლობა); კორკოტა — სირაძე 1-7; მამალაძე — ქარაფი 3-0 (გამოუცხადებლობა); საგარეჯო-ლოკომოტივი 1-5; ვაკე 1 — სირაძე 0-0; კორკოტა — ზოოვეტი 0-8; საგარეჯო — მერანი 91 3-5; ლოკომოტივი 1 — მამალაძე 4-2.
**IV ჯგუფი:** ხუბაევი — დინამო 85 2-2; სიონი 1 — ახტალა 2-6; დინამო 85 — ბაქანიძე 3-1; სიონი 1 — ხუბაევი 0-1; ახტალა — ავაზა 2 3-0 (გამოუცხადებლობა); ვაკე 3 — მთვარის გლობუსი 1-3; სიონი 1-დინამო 85 0-2; ბაქანიძე — ახტალა 1-3; მთვარის გლობუსი — ხუბაევი 0-1; ახტალა-მერანი 1-0; მთვარის გლობუსი — დინამო 85 2-0.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ამოროზოს ვინ შეელევა!

ბრაზილიელ ფორვარდ მარსიო ამოროზოს, რომელიც შედარებით მოკრძალებულ „უდინეზეში" გამოდის, დიდი წარმატებები აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრაზილიის ნაკრების ფრიად ამბიციური მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო მას თავისი გუნდის ძირითად თავდამსხმელად თვლის.

ამას წინათ ამოროზომ, თუმცა ბევრი იტალიური და, ამას გარდა „ბარსელონასაგანაც" მიწვევა ჰქონდა, მაინც გააგრძელა კონტრაქტი „უდინეზესთან" 2004 წლამდე. „ყველაფერს გავაკეთებთ მის დიდხანს შესანარჩუნებლად" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა პიერ-პაოლო მარინომ.

## რატომ ასე გვიან?

ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ფულადი თანხით დააჯილდოვოს ის ფეხბურთელები, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს... 1966 წელს.

რატომ ასე გვიან?

ეს სულ უბრალოდ აიხსნება: თურმე თავის დროზე ფულადი თანხით სულ ორი ფეხბურთელი დააჯილდოვეს: ფინალურ მატჩში ჰეთ-თრიკის ავტორი ჯეფ ჰერსტი და ლეგენდარული ბობი ჩარლტონი.

რაც შეეხება მეკარე გორდონ ბენქსს, მცველებს ჯორჯ კოენსა და რეი უილსონს, ნახევარმცველებს ნობი სტაილზსა და მარტინ პიტერსს, მათ საერთოდ არაფერი მიუღიათ.

ინგლისის სპორტის მინისტრმა ტონი ბენქსმა განაცხადა, რომ ყველა უკლებლივ, ვინც რაღაც მიიღო თუ არ მიიღო, კვლავ დაჯილდოვდება. რამდენს მიიღებს? ამას მინისტრი ეთიკური მოსაზრებით, არ ამბობს.

## თავს მეფესავით გრძნობს

თუ ესპანეთის ნაკრების ადრინდელ მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს კვიპროსელებთან მოულოდნელი დამარცხება არავინ აპატია, გუნდის ახლანდელი ხელმძღვანელი ხოსე ანტონიო კამაჩო თავს, ჟურნალისტების სიტყვით, მეფესავით გრძნობს.

ერთ დროს მას დაცვითი თამაშისაკენ მიდრეკილებაში ადანაშაულებდნენ. ახლა გაამაყებული კამაჩო თავის კრიტიკოსებს ასე პასუხობს: „9-0 (ავსტრიელებთან) და 6-0 (სან-მარინოელებთან) დაცვითი თამაშია?"

## თითქმის ყველაფერი მზად არის

ყველა რვა სტადიონი, სადაც ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება, მისის განმავლობაში მზად იქნება. ყველაფერს გრაფიკის მიხედვით ჩააბარებენ, თუმცა ანტვერპენის სტადიონი შარლერუათი შეიცვალა. „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც დავპირდით უეფას, შეჯიბრების დაწყებამდე ერთ წელზე მეტი ხნით ადრე, სრულიად მზად ვიქნებით" — განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალენ კურტუამ. მანვე თქვა, რომ სპონსორებთან პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია, 7 მათგანთან კონტრაქტს ხელიც მოეწერა. მთლიანად მოგვარებულია ფინანსური მხარე.

კომიტეტმა საზეიმოდ გადასცა ბილეთების განაცხადი განთქმულ ჰოლანდიელ მწვრთნელს რინუს მიხელსსა და ახლო წარსულში ცნობილ ბელგიელ ფეხბურთელს პოლ ვან ჰიმსტს.

მიხელსმა გამოთქვა იმედი რომ ფინალში ერთმანეთს ჰოლანდია და საფრანგეთი შეხვდებიან, ვან ჰიმსტმა კი თავის თანამემამულეებს ჯგუფიდან გასვლა უსურვა.

## უპირატესობა უცხოელებს მიანიჭეს

ინგლისის 1998/99 წლების ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ჟურნალისტებმა დავიდ ჟინოლა („ტოტენჰემ ჰოტსპური") აღიარეს. მეორე ადგილზეა დუაიტ იორკი („მანჩესტერ იუნაიტედი"), მესამეზე — ემანუილ პეტი („არსენალი").

ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ ასევე ფრანგი ნიკოლა ანელკა („არსენალი") სცნეს.

## „სამ ფრონტზე"

„ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰითცფელდი იმედს არ კარგავს, რომ წლევანდელ სეზონში მისი კლუბი სამ მიზანს მიაღწევს: 1) ქვეყნის ჩემპიონი გახდება (ამას ახლა თითქმის არაფერი უკლია), 2) ქვეყნის თასს მოიპოვებს, 3) ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიმარჯვებს.

მართალია, ახლა კლუბს მწყობრში არა ჰყავს ორი შესანიშნავი ფეხბურთელი: მცველი ლიზარაზიუ და თავდამსხმელი ელბერი. „მზად ვიყავით ამის მსგავსი უსიამოვნებებისათვის და თავზე ნაცარს არ ვიყრით. ახლა დაცვაში შანსი მიხაელ ტარნატს გაუჩნდა" — ამბობს მწვრთნელი.

## „ფეიენოორდი" დიდ პრობლემებს ქმნის

როტერდამის ფეიენოორდის" მიერ ჰოლანდიის ჩემპიონობის ვადაზე ადრე მოპოვებამ დიდი პრობლემები შეუქმნა ქალაქის პოლიციას. რადიოსადგურ „დოიჩე ველეს" ცნობით, როტერდამში კლუბის ფანატებმა დიდი არეულობა გამოიწვიეს, რაც ზეიმს ნამდვილად არა ჰგავდა. პოლიციას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაც კი მოუხდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

## ჩატარების 9 მსურველი

ერთბაშად ცხრა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი ჩაატაროს ფეხბურთის ისტორიაში პირველი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. იგი, დებულების თანახმად, 2000 წლის 5-14 იანვარს უნდა გაიმართოს. ჯერჯერობით ფიფას შტაბ-ბინას მექსიკის, თურქეთის, პარაგვაის, ურუგვაის, ბრაზილიის, საუდის არაბეთის, ტაიტის, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციების განცხადებები აქვს. განცხადებების მიღება ჯერ კიდევ გრძელდება, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ფიფა მაისის ბოლოს მიიღებს.

შეჯიბრებაში 8 უძლიერესი კლუბი მიიღებს მონაწილეობას. 6 მათგანი ევროპის, სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, აზიის, კონკაკაფისა და ოკეანიის წარმომადგენელი იქნება. გარდა ამის, ტურნირში ჩაებმებიან ორგანიზატორი ქვეყნის კლუბი და ის კოლექტივი, ვინც დეკემბერში საკონტინენტთაშორისო თასს მოიპოვებს.

ყველა შემთხვევაში შეჯიბრება მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს.

## თუ ბილეთი იაფი იქნება...

...მაყურებელი მოვა. ასეთი დასკვნა გამოიტანეს უკრაინული ფეხბურთის მესვეურებმა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს. ასე მაგალითად, ბილეთი კიევის „დინამოს" სტადიონზე სულ ერთი გრივნა (25 ცენტი) ღირს და მაყურებელიც აწყდება ტრიბუნებს.

მართალია, აქ გარკვეულ როლს ისიც ასრულებს, რომ უკრაინულ ფეხბურთს ევროპულ ასპარეზზე დიდი წინსვლა აქვს და მაყურებელიც დიდად დაინტერესდა.

## კლუბს შეიძენს მისი... პრეზიდენტი

როგორც აშშ-ს ორგზის ჩემპიონ „ვაშინგტონ დი-სი იუნაიტედის" მეპატრონეებმა განაცხადეს, ჰყიდიან თავიანთ კლუბს. ფიქრობენ, რომ ეს თანხა იმ 26 მილიონ დოლარზე მეტი იქნება, რომელიც შარშან ოქტომბერში ტელე და მედიამაგნატმა ფილიპ ანშუტცმა „ლოს-ანჟელეს გელაქსის" კლუბში გადაიხადა. ეს კლუბი იმიტომ იყიდება, რომ კომპანია „ვაშინგტონ სოკერ ლიმიტედმა", რომელსაც ეკუთვნის „ვაშინგტონ დი-სი იუნაიტედი", უმაგალითო რამ ჩაიდინა რახან ფირმამ „ეი-პი-აი სოკერმა" (კლუბის მთავარმა ინვესტორმა) აქციები გაყიდა. ახლა განიხილება კლუბის გაყიდვის სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, გუნდი მისი ახლანდელი პრეზიდენტისა და მენეჯერის კევინ პეინის ხელში გადავა. პეინ[illegible] ფინანსური საქმეები სრულიად მოწესრიგებულია — იგი ამას წინათ ახალ კომპანიას ჩაუდგა სათავეში.

# „ბარსელონა" პირველია. მეორე? მესამე? მეოთხე?

**ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა**

განახლებულ ჩემპიონთა ლიგაში ესპანეთს, ისევე, როგორც იტალიასა და გერმანიას, 4 ადგილი მიეკუთვნა. მართალია, ეს ადგილები მთლად ტოლფასოვანი არ არის. ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი წინასწარი თამაშებიდან განთავისუფლებული იქნებიან, მესამე და მეოთხე ადგილებზე გამოსულები — არა.

ესპანეთის პირველობის დამთავრებამდე 7 ტურიღა რჩება, და ცხადია ჩემპიონობას „ბარსელონას" ვერავინ შეეცილება. ლიდერმა 31 თამაშის შემდეგ 65 ქულა მოაგროვა, მისი თავდასხმა (გაიტანა 68 გოლი) უდავოდ ყველაზე ძლიერია, დაცვაც (35 გოლი გაუშვა) საკმაოდ საიმედო. საეჭვოა რომ 9 ქულის უპირატესობა, რომლითაც უსწრებს მეორე-მეოთხე ადგილებზე მყოფ კლუბებს, გუნდმა დაკარგოს.



კლუივერტის (შავ მაისურში) შეჩერება ძნელია

უკანასკნელ ტურებში ლიდერი ძლიერ მეტოქეებს შეხვდა, მაგრამ მისი წამყვანი მდგომარეობა ოდნავადაც არ შერყეულა. ამასთან, „მალიორკასთან" კატალონელები, თითქოს ძალებს ზოგავენო, არც ისე აქტიურები ჩანდნენ, მაგრამ მაინც გამოავლინეს თავიანთი უპირატესობა — 2-1. მათგან გოლები ფ.დე ბურმა და კლუივერტმა გაიტანეს. ეს უკანასკნელი მეორე წრეში მართლაც რომ შესანიშნავად თამაშობს. რა თქმა უნდა, იოლი არ იყო შეხვედრა მადრიდის „ატლეტიკოსთან" — 1-1 (აბელარდო), მაგრამ როცა ქულათა ასეთი მარაგი გაქვს... ამ მატჩამდე „ბარსელონას" 6-მოგებიანი სერია ჰქონდა. ისიც ვთქვათ, რომ 17 შეხვედრაში კლუბმა 44 ქულა მოაგროვა, რაც ისეთ ძლიერ შეჯიბრებაში, როგორიც ესპანეთის ჩემპიონატია, უდავოდ დიდი მიღწევაა.

გადავხედოთ ლიდერის დარჩენილი შეხვედრების კალენდარს. 2 მაისს „ბარსელონა" მიიღებს პირველი ოთხეულის ერთ-ერთ პრეტენდენტ „ლა კორუნიას", 9 მაისს — სტუმრად თამაშობს საკმაოდ სუსტ „ვილიარეალთან", 16 მაისს შინ ეთამაშება საშუალო შეძლების „ვალიადოლიდს", 23 მაისს, სტუმრად — „ალავესს", რომელიც თავგამოდებით იბრძვის უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად, 30 მაისს ბილბაოში თამაშობს „ატლეტიკთან", 13 ივნისს მიიღებს სევილიის „ბეტისს", რომელსაც ხავიერ კლემენტე მაინცდამაინც ვერაფერს შველის და 20 ივნისს ამთავრებს ჩემპიონატს სტუმრად „სარაგოსასთან".



ფიგუ (შავ მაისურში)

ახლა კი მთავარი — ვის შეიძლება დარჩეს მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები. დღეისათვის 54-54 ქულა აქვთ ვიგოს „სელტას", „ლა-კორუნიასა" და „მალიორკას". „სელტას" წარმატებებზე ამ სეზონში ბევრი დაიწერა. ვიქტორ ფერნანდესის გუნდის მიღწევებიდან მაინც უნდა აღინიშნოს მადრიდის „რეალის" განადგურება: 5-1. მიუხედავად იმისა, რომ ახლა „რეალი" ძალზე არათანაბრად თამაშობს, ასეთ შედეგს მაინც არავინ მოელოდა. მართალია, შემდეგ თვით „სელტაც" შეფერხდა. აუტსაიდერ „ალავესს" იგი საკუთარ მინდორზე იღებდა, მაგრამ თამაშის პროცესში ტრავმების გამო ჯერ რევივო (ისრაელი) გამოაკლდა, შემდეგ კი მაზინიო (ბრაზილია), ეს შეხვედრა ფრედ 1-1 დამთავრდა, ისე კი, ვიგოს „ბალაიდოსის" სტადიონზე ამ სეზონში „სელტას" მატჩი არ წაუგია!

რა ელის მომდევნო მატჩებში „სელტას"? კვირას იგი მიიღებს გამოკვეთილ აუტსაიდერ „სალამანკას", თუმცა ვთქვათ ისიც, რომ მეოცე ადგილზე მყოფმა გუნდმა საკუთარ მინდორზე არ დაუთმო (1-1) მადრიდის „რეალს". 9 მაისს „სელტა" ბარსელონაში ეთამაშება „ესპანიოლს", რომელსაც შეუძლია „კილერის როლი შეასრულოს", თუკი, რა თქმა უნდა, ვინმე „გამამხნევებელი" გამოჩნდა. ამას მოჰყვება შეხვედრები „რეალ-სოსიედადთან" (შინ), „ოვიედოსა", „ტენერიფესა" (შინ), „მალიორკასა" და მადრიდის „ატლეტიკოსთან" (შინ).

„მალიორკა" ბოლო ტურამდე სხვა ლიდერებთან შედარებით დიდი შედეგიანობით არ გამოირჩეოდა (სხვა საქმეა ბრწყინვალედ ორგანიზებული დაცვა), მაგრამ აი ბილბაოს „ატლეტიკთან" ნამდვილად გაიბრწყინა. საინტერესოა, რომ XXXI ტურამდე ბასკები თავად ინარჩუნებდნენ ოთხეულისათვის ბრძოლის შესაძლებლობებს, მაგრამ ამ კურიოზული 1-6-ის შემდეგ ხელები ჩამოყარეს. მიმომხილველთა აზრით, ეკტორ კუპერის გუნდი და მისი გულშემატკივრებიც პირდაპირ აღფრთოვანებული არიან პირველად თასების მფლობელთა თასის ფინალში გასვლით. ახლა „მალიორკაში" შესანიშნავად თამაშობენ, როგორც არგენტინელი ლეო ბიაჯინი, ისე იოვან სტანკოვიჩი, გნებავთ ველკო პაუნოვიჩი და კლუბის საუკეთესო სნაიპერი დანი. „მალიორკა" შეუპოვრად იბრძვის საპრიზო ადგილისათვის. მას სათამაშო დარჩა თანმიმდევრობით „ბეტისთან" (სტუმრად), „სარაგოსასა", „რასინგსა" (სტ.) „ესტრამადურასა", მადრიდის „რეალსა" (სტ.), „სელტასა" და „ვალენსიასთან" (სტ.). სამი უკანასკნელი „მალიორკას" უშუალო მეტოქედ შეიძლება ჩაითვალოს.

„ლა-კორუნია" ზიანისა (2) და ტურე ფლორესის გოლების წყალობით იოლად გაუსწორდა „ვალიადოლიდს" და ასევე ოპტიმისტურად არის განწყობილი. ვისთან ელის მას შეხვედრა? კვირას — უმძიმესი მატჩი სტუმრად „ბარსელონასთან", შემდეგ შინ ბილბაოს „ატლეტიკთან", „ბეტისსა", „სარაგოსასა" (შინ), „რასინგსა", "ესტრემადურასა" (შინ) და მადრიდის „რეალთან" — საკმაო მძიმე ფინიშია.



რაული

მადრიდის „რეალი" 53 ქულით მეხუთე ადგილზეა. მას შემდეგ, რაც სამეფო კლუბმა სამარცხვინოდ წააგო „სელტასთან", ჯონ ტოშაკმა გუნდი თავისსავე ახალგაზრდულ შემადგენლობას ამხანაგურ მატჩში შეახვედრა. შედეგს არ იკითხავთ? ანგარიში 4-3 გაიმარჯვეს ახალგაზრდებმა! ამას მწვრთნელის მრისხანე რეპლიკა მოჰყვა: „თუკი ზოგიერთი ფეხბურთელი უახლოეს ხანებში საქმისადმი დამოკიდებულებას არ შეცვლის, მათ „რეალის" დატოვება მოუხდებათ": ასე იყო, თუ ისე, ამის შემდეგ „რეალმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა: 3-1 საკუთარ მინდორზე უშუალო მეტოქე „ვალენსიასთან", მაგრამ შემდეგ სტუმრად „სალამანკასთან" ფრეს დასჯერდა 1-1. მიმომხილველები ამ შეხვედრაში ბევრ გოლს ელოდნენ, რადგან აქამდე „სალამანკას" 54 გოლი ჰქონდა გაშვებული, „რეალს" კი, რაც ასეთი კლასის კლუბისათვის სრულიად მიუტევებელია, 51. ეს მოლოდინი, როგორც ვნახეთ, არ გამართლდა. „სალამანკას" შეეძლო კიდეც მოგება, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთებში, მას შემდეგ, რაც მადრიდელმა ივან კამპომ აშკარად წააქცია მასპინძელთა ნახევარმცველი ველისკი, მსაჯმა დაინდო სახელოვანი კლუბი.



ლუის ენრიკეს ვეღარ მიუდგები

„ვალენსიამ" ვერ მოახერხა გამარჯვება (2-2) „სელტასთან", თუმცა, ცხადია, 52 ქულით კვლავ იბრძვის საპრიზო ადგილისათვის.

აი, ეს 6 კლუბი აცხადებს პრეტენზიას ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად, თუმცა, „ბარსელონას" ეს ადგილი გარანტირებული აქვს.

ახლა კი სნაიპერთა ცხრილს გადავხედოთ: რაული (მადრიდის "რეალი") — 22 გოლი, რივალდო („ბარსელონა") — 19, დელი ვალდესი („ოვიედო") — 15, ურსაისი (ბილბაოს „ატლეტიკი"), კლაუდიო ლოპესი („ვალენსია") — 14-14, პეტერნაცი („ვალიადოლიდი"), კოვაჩევიჩი („რეალ-სოსიედადი"), მაკაი („ტენერიფე"), სანჩესი („სელტა") — 13-13. მილოშევიჩი („სარაგოსა"), პენევი („სელტა"), ტურე ფლორესი („ლა-კორუნა"), აიქტორი („რასინგი") — 12-12 გოლი.

## ამბები არგენტინიდან

„ფაროკარილ ოესტემ" „ველეს სარსფილდთან" ფრედ 0-0 რომ ითამაშა, ქვეყნის ანტირეკორდი დაამყარა — მთელი 812 წუთი ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა.

მილანის „ინტერი" „ბოკა ხუნიორსის" ერთბაშად 4 ფეხბურთელზე აცხადებს პრეტენზიას. ესენია თავდამსხმელები: მარტინ პალერმო, გილიერმო ბაროს სკელოტო, ნახევარმცველი ხუან რამონ რიკოლმე და მცველი ვალტერ სამუელი.

არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა, რომელიც „რივერ პლეიტის" ცნობილი გულშემატკივარია, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა „ყოველი ღონე იხმარეთ გაჭირვებაში ჩავარდნილი „რასინგის" დასახსნელად!"

არგენტინის ნაკრები ივნისში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 9 ივნისს ჩიკაგოში მექსიკის ნაკრებს შეხვდება, 13-ში ვაშინგტონში კი აშშ-ს ნაკრებს.

## უეფა განრიგს ცვლის

უეფას სამდივნოს გადაწყვეტილებით ჩემპიონთა ლიგის სათამაშო განრიგი რამდენადმე შეიცვლება: კლუბები, ოთხშაბათის გარდა, სამშაბათობითაც ითამაშებენ, ხოლო ხუთშაბათობით გაიმართება უეფას თასის მატჩები.

# დუნგა – „მამაცს" და „წინამძღოლს" ნიშნავს



*კარლოს დუნგას მდიდარი საფეხბურთო კარიერა დასასრულს უახლოვდება. იგი ჯერ კიდევ 1982 წელს დაიწყო, როცა დუნგას (19 წლისას) დებიუტი ჰქონდა „ინტერნასიონალში", მალე კი ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. შემდეგ თამაშობდა ისეთ წამყვან ბრაზილიურ კლუბებში, როგორიც „კორინთიანსი", „სანტოსი" და „ვასკო და გამაა". 1985 წელს გაემგზავრა იტალიაში, სადაც გამოდიოდა „პიზაში" „პესკარასა" და „ფიორენტინაში", შემდეგ გერმანულ „შტუტგარტსა" და იაპონურ „ჯუბილო ივატაში". სამშობლოდან ამდენი ხნის განშორების შემდეგ უკვე ვეტერანი დუნგა (მისი სრული სახელი და გვარია კარლოს კაეტანო ბლედორნ ვერი) ბრაზილიაში დაბრუნდა და ისევ თავის ძველ კლუბთან, პორტუ-ალეგრის „ინტერნასიონალთან" მოაწერა ხელი კონტრაქტს. გავიხსენოთ რომ დუნგა (პორტუგალიურ ენაზე „მამაცს", თუ გნებავთ, „წინამძღოლს" ნიშნავს) ორ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი იყო.*

კარლოს დუნგას ესაუბრება ბრაზილიურ ჟურნალ „პლაკარის" კორესპონდენტი.

● ***გვითხარით, რატომ გადაწყვიტეთ „ინტერნასიონალში" დაბრუნება? თქვენ ხომ სხვა ბრაზილიური კლუბებიდანაც გქონდათ მიწვევა და საზღვარგარეთიდანაც.***

– ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პორტუ-ალეგრიდან დამირეკეს, ჩემი ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა. მე და ჩემმა ცოლმა ასე მოვითათბირეთ: თუკი მოვახერხებ რომელიმე კლუბთან კონტრაქტის დადებას, ხომ კარგი. თუკი რაიმე ღირსეული ვარიანტი არ მექნება, დავამთავრებ ჩემს კარიერას. უკვე 13 წელია ჩვენი ოჯახი მსოფლიოს ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის. ამ ხნის განმავლობაში შინაურებისაგან ერთი საყვედურიც კი არ მომისმენია. პირიქით, საჭირო, ძნელ მომენტში ცოლი და შვილები ყოველთვის მხარში მედგნენ. ახლა კი დადგა დრო მე თვითონ გადავუხადო მათ მადლობა.

● ***როგორი დაგხვდათ ბრაზილია ამდენი ხნის განშორების შემდეგ?***

– საკლუბო დონეზე ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა. გაუმჯობესდა თამაშის ორგანიზაცია და გუნდების მომზადება. ჩვენთან, საბედნიეროდ, სწორი დასკვნა გამოიტანეს, რომ მხოლოდ ბრწყინვალე ტექნიკით ვერაფერს გახდები.

● ***რას იტყვით პელეს იდეის შესახებ, რომელიც წინადადებას გვაძლევს კლუბები თავისებურ საფეხბურთო წარმოებებად გადავაქციოთ?***

– ეს სრულიად აუცილებელი გადაწყვეტილება იქნება. მაგრამ ჩვენ გვსურს ერთბაშად ძალიან შორს გადავხტეთ. ევროპელები, სანამ ამას განახორციელებდნენ, ათეული წლობით ემზადებოდნენ.

● ***ბრაზილიურ ფეხბურთში ცხარე პოლემიკაა გამართული, ამასთან სულ სხვა საკითხზე. ყველასათვის მოულოდნელად „კორინთიასის" მოთამაშე ვამპეტა შემტევი საყრდენი ნახევარმცველის სიმბოლო გახდა. საყრდენი ნახევარმცველები კი ჩვენთან ძირითადად დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ. ნაკრების მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო აცხადებს, რომ მას არ სჭირდება ისეთი ნახევარმცველები, რომლებიც მხოლოდ დაცვით ფუნქციებს ასრულებენ. რას იტყვით ამ საკითხზე?***

– მხოლოდ ერთს: მთელი ეს დისკუსია სრული სისულელე და გაუგებრობაა. თუკი თქვენ გაანალიზებთ ბრაზილიის ნაკრების თამაში მსოფლიო პირველობაზე, აუცილებლად მიაქცევდით ყურადღებას საყრდენ ნახევარმცველ სეზარ სამპაიოს, რომელსაც გოლები გაჰქონდა. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ნომინალური საყრდენი ნახევარმცველი ჰყავს გუნდს – ერთი, ორი თუ სამი. ბოლოსდაბოლოს, თქვენ შეგიძლიათ საერთოდ მათ გარეშეც ითამაშოთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდში ისეთი ფეხბურთელების ყოლას, რომელთაც შეუძლიათ თამაშის პროცესში, სიტუაციის მიხედვით ფუნქციების შეცვლა. ისიც აუცილებელია, როცა ბურთი მეტოქეს აქვს, ამ მოთამაშეებს შეუძლიათ ზონების ზუსტად ფიქსირება.

● ***დიახ, მაგრამ ამ შემთხვევებში ხომ, რომელიღაც ეპიზოდებში, თავდამსხმელებსაც მოუხდებათ დაცვაში თამაში?***

– რატომაც არა? ეს სათამაშო ფილოსოფიის საკითხია და არა რომელიმე კონკრეტული სქემისა. ხომ ცნობილია: ეფექტური ურთიერთდაზღვევის მიღწევისათვის საჭიროა დიდი მოცულობის საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარება. სად ნახავს ჩვენი ნაკრები სამისო დროს, როცა მოთამაშეები მხოლოდ მოკლე შეკრებებზე იყრიან თავს?! შეტევა ყველას უყვარს, მცველები ფოტოკამერების ობიექტივშიც კი იშვიათად ხვდებიან. ამ მცველებს მთელი ფიზიკური ენერგია ძირითადად შეტევის ჩაშლაზე ეხარჯებათ – ასეთია მათი ხვედრი.

● ***ეს თქვენ, დაცვითი ყაიდის ნახევარმცველმა, თქვენს თავზე მთლიანად გამოსცადეთ. გვითხარით, ახლა, 35 წლის დუნგა მინდორზე ნაკლებად მოძრაობს?***

– შესაძლებელია ასეც იყოს. მაგრამ მე ახლა უფრო გააზრებულად ვმოძრავობ. ახალგაზრდა ფეხბურთელი ხომ გამოცდილთან შედარებით თავის ენერგიას ნაკლები სარგებლის მოტანით ხარჯავს. ჭაბუკები ენთუზიაზმით დარბიან მინდორზე, მაშინ, როდესაც გამოცდილი ოსტატი უფრო ეკონომიურად მოქმედებს, იმიტომ რომ მას შეუძლია თითოეული სათამაშო ეპიზოდის უკეთ შეფასება.

● ***ამასთან დაკავშირებით ისიც ვთქვათ, რომ ბევრი ფეხბურთელი, რომლებმაც დიდი ხანია 30 წელს გადააბიჯეს, ახლა ჩინებულად თამაშობს.***

– მე ამას პროფესიონალიზმის გაზრდილი დონით ვხსნი. გაიზარდა ფეხბურთელების თვითდისციპლინა, ისინი უკეთ ადევნებენ თვალყურს საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებს. მათ განკარგულებაშია ვიტამინური კოქტეილები და სხვადასხვა დღევანდელი აღდგენითი საშუალებებია. გაუმჯობესდა მომზადება კლუბებში, გაზონებიც უკეთეს მდგომარეობაშია, რამაც შეამცირა ტრავმების რიცხვი. 20 წლის ჭაბუკები, იტყვიან, რომ ყოველივე ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ 30 წლისა რომ გახდებიან, მაშინ მიხვდებიან, რაში იყო განსხვავება. საზღვარგარეთ ახლა ასეთი მარჯვედ მოქმედი, ენერგიული ვეტერანების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ბრაზილიაში. ევროპაში ფეხბურთელები ბრაზილიელებთან შედარებით უფრო ნაკლებს თამაშობენ, სატურნირო დისტანცია ჩვენთან შედარებით აშკარად ხანმოკლეა. ჩვენთან კვირაში სამ მატჩს თამაშობენ. ეს ხომ აბსურდია.

● ***თქვენ ბუნებით ლიდერი ხართ, ორ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების კაპიტანი იყავით. რა მოაქვს, თქვენი აზრით, ფეხბურთელების შეკრებებს, როცა ისინი უმწვრთნელოდ იხილავენ თავიანთ საქმეებს?***

– მე არა ვარ ასეთი შეკრებების მომხრე. ჩვენ ყველანი კოლეგები ვართ, ასეთი შეკრებების დროს კი ყოველთვის შეიძლება არაეთიკურ მომენტებსაც გადავეყაროთ. ვფიქრობ, გუნდში დემოკრატია უნდა იყოს, რომელიც საკმაოდ მკაცრ ხელმძღვანელობასაც საჭიროებს.

● ***ამ პრობლემას ცოტა ფართოდ შევხედოთ. საჭიროა კი მოთამაშეების გამოცდილების გამოყენება. იმ გლობალური საკითხების გადაწყვეტისას, რომელიც ფეხბურთის მსოფლიო ორგანიზაციების წინაშე დგას?***

– ამ გამოცდილებას ძალიან მცირედ იყენებენ. ეს ეხება ჩვენი შტატების, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას და ფიფას. ამით ფეხბურთი, ჩემი აზრით, ბევრს კარგავს.

● ***როგორ უყურებთ მსოფლიო ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების იდეას?***

– ამით მსოფლიო ჩემპიონატები მნიშვნელოვანწილად დაკარგავს მომხიბლაობას. მსოფლიო ჩემპიონატი ყველა ფეხბურთელის ოცნებაა! თუკი მას ორ წელიწადში ერთხელ ჩავატარებთ, მაშინ იგი ჩვეულებრივი მოვლენა გახდება. თუკი, ჩვენ იმ ორგანიზაციულ საკითხებს შევეხებით, რომლებიც ორწლიან ციკლზე გადასვლისას წარმოიშვება, ისინი ძალზე ბევრი იქნება, მაგალითად, როგორი იქნება კლუბების მდგომარეობა? ისინი ხომ ორ წელიწადში ერთხელ მთელი ორი თვით დაკარგავენ თავიანთ საუკეთესო მოთამაშეებს, რომლებიც ნაკრებებს უნდა გადასცენ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადების დამაგვირგვინებელ ეტაპზე. წარმოუდგენლად გაიზრდება ეროვნული ნაკრების მუშაობის ინტენსივობა. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ჩაეტიოს კალენდარში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები, ამერიკის თასი და აუცილებელი საკონტროლო მატჩები. ჩემი აზრით, ფიფას ეს იდეა, უბრალოდ, იმის ცდაა, რომ შეაჩეროს ახალი საკლუბო ტურნირების დაარსების პროცესი. რა თქმა უნდა, კლუბებმა ფული უნდა იშოვონ. მაგრამ როცა ამ პრობლემის გადაწყვეტას სულ უფრო მეტი ტურნირების დაწესებისა და ტელევიზიისათვის მატჩების გაყიდვაში ხედავენ, ეს საკითხისადმი სწორი მიდგომის გზა არ გახლავთ.

● ***საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ თქვენ მომავალში შეიძლება ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელიც გახდეთ. გვითხარით, მზად ხართ ამისათვის?***

– მზად ვარ ვემსახურო ჩემს სამშობლოს. ბრაზილიის ნაკრები, ეს რაღაც მაგიური გახლავთ და იყო იმათ შორის, ვინც ამ გუნდს ემსახურება (გინდ მასაჟისტი იყო, გინდ ავტობუსის მძღოლი), ეს უდიდესი პატივია. თუკი ნაკრებში ნებისმიერ თანამდებობაზე მიმიწვევენ, არასოდეს ვიტყვი უარს. მე და თქვენ ბევრი მიზეზი გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ბრაზილიელები ვართ. მაგრამ ფეხბურთი ხომ საგანგებო რამ არის: მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვნატრის.

● ***დავიჯერო იმის შემდეგ, რაც თქვენ განიცადეთ, როცა სამ კონტინენტზე თამაშობდით, ფეხბურთში კიდევ დაგრჩათ მოტივაცია?***

– დიახ. დამრჩა. ეს ჩემი პროფესიის სიყვარულია. მე იმიტომ ვთამაშობ, რომ უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ფული რა მოსატანია! არასოდეს ფინანსური პირობები და კეთილდღეობა წინა პლანზე არ დამიყენებია. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მირჩიეს ფეხბურთისათვის თავი დამენებებინა, რათა გულშემატკივრების თვალში მუდმივად მსოფლიო ჩემპიონად დავრჩენილიყავი, გამარჯვებულის იმიჯი შემენარჩუნებინა. მე ასე არ მოვქცეულვარ. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მეთქვა უარი ნაკრებში მორიგ მიწვევაზე. ბრაზილიის ნაკრები ჩემი საყვარელი საქმის უმაღლესი საფეხურია. მისთვის მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო.

● ***„ინტერნასიონალში" დაბრუნება, კლუბში, სადაც ოდესღაც დაიწყეთ თქვენი კარიერა, ალბათ, რაიმე განსაკუთრებულ ქვეტექსტს შეიცავს?***

– დავბრუნდი „ინტერნასიონალში", რათა კვლავ აღმოვჩნდე „კოლორადოს" (ასე ეძახიან ბრაზილიელი გულშემატკივრები ამ კლუბს) ფანტასტიკურ ატმოსფეროში და დავეხმარო დასძლიოს კრიზისი, რომელიც ამ ბოლო წლებში შეიმჩნევა. ამასთან, სხვა მიზანიც მაქვს. ჩვენ, ფეხბურთელებმა, კარგი მაგალითი უნდა მივცეთ ახალგაზრდობას, მასზე პოზიტიური გავლენა მოვახდინოთ, რათა ახალგაზრდების ლექსიკონში მტკიცედ დამკვიდრდეს ისეთი სიტყვები, როგორიც არის „ინებეთ", „მადლობას გიხდით" „უკაცრავად". მათ ხანდაზმულ ადამიანებს ავტობუსში ადგილი უნდა დაუთმონ, გააჩერონ მანქანა, როცა ქვეითი მოსიარულე ქუჩაზე გადადის. ჩემი შვილები სახტად დარჩნენ, როცა ვიღაცა თავხედმა თავისი მანქანიდან გამოყო თავი და უზრდელი სიტყვები წარმოთქვა...

● ***დიახ, მაგრამ რა შეუძლიათ ფეხბურთელებს მთელი თაობის აღსაზრდელად?***

– 1994 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონები გავხდით, ბრაზილიელებს სიმტკიცის, მამაცობის, თავმდაბლობის, ერთიანობისა და ორგანიზებულობის მაგალითი ვუჩვენეთ. ჩვენთან ხომ სინამდვილეში არავის უზრუნია იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა ცხოვრებაში თავისი ადგილი მონახონ, ღირსეული ადამიანები გახდნენ. ეს მაგალითი სწორედ ფეხბურთელებმა უნდა მისცენ, რომლებსაც ახალგაზრდობა აღმერთებს. ჩვენი ბრაზილია ხომ მშვენიერია...

მოამზადა
ბივი თორელმა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ედმუნდოს გამოისყიდიან

რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამას" ხელმძღვანელობამ „ფიორენტინისაგან" თავდამსხმელ ედმუნდოს გამოსყიდვის შესახებ განაცხადა — ფეხბურთელს, როგორც ცნობილია, აშკარად არ მოსწონს იტალიაში.

„ვასკო და გამა" აპირებს ედმუნდო რიო-დე-ჟანეიროს შტატის პირველობაზე მეორე ეტაპიდან ათამაშოს.




### კიდევ ერთი წლით

როგორც ზინედინ ზიდანმა ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს განუცხადა, იგი ტურინის „იუვენტუსში" კიდევ ერთი სეზონი დარჩება.

ამით უნდა შეწყდეს გაუთავებელი მითქმა-მოთქმა განთქმული ფეხბურთელის ესპანეთში გადასვლის შესახებ. ზიდანის ცოლი, ეროვნებით ესპანელი, ირწმუნებოდა, რომ იტალიაში ვერ სძლებს.

### „ბარსელონაში" არ დარჩებიან

„ბარსელონის" ორმა ცნობილმა ბრაზილიელმა ოსტატმა ნახევარმცველმა ჯოვანიმ და თავდამსხმელმა სონი ანდერსონმა განაცხადა — „როგორც კი ეს სეზონი დამთავრდება, აღარ ვაპირებთ ამ კლუბში დარჩენას".

თუ როგორ წარიმართება ამ ფეხბურთელების ბედი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

კიდევ ერთმა (ყოფილმა) ბრაზილიელმა, ამჟამად ესპანეთის მოქალაქე დონატომ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ლა-კორუნიასთან".



### ბაიდაჩნი გადადგა

რუსეთის ჩემპიონატი ეს-ეს არის დაიწყო, მაგრამ სოჭის „ჟემჩუჟინის" მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბაიდაჩნი უკვე გადადგა. აი, რა განაცხადა მან:

— „ჟემჩუჟინას" შემადგენლობის 70-მა პროცენტმა საერთოდ არ უნდა ითამაშოს ფეხბურთი. გუნდის 70 პროცენტის შეცვლის მაგიერ, სჯობს მე თვით გადავდგე. საქმე მხოლოდ შედეგში (სოჭელებს ახლა 3 წაგება და 1 ფრე აქვთ) კი არ არის, არამედ თამაშისადმი დამოკიდებულებაში. ფეხბურთელები გულცივები არიან, არ აინტერესებთ, რა შედეგს მიაღწევენ. არც სიამაყე აქვთ, არც თავმოყვარეობის გრძნობა, საერთოდ არაფერი. იქნებ, ვინმეს უნდა ჩემი ადგილის დაკავება! დაიკავოს, ღმერთმა შეარგოს, ოღონდ კი „ჟემჩუჟინას" ეშველოს.

### სანტაკრუსის ფასი მაღლა იწევს

როგორც პარაგვაის „ოლიმპიის" დირექტორატმა განაცხადა, 17 წლის თავდამსხმელ როკე სანტაკრუსს მიუნხენის „ბაიერნს" არ დაუთმობენ. იგი 15 მილიონ დოლარს იძლეოდა, ფეხბურთელი კი 20 მილიონი ღირს. გარიგება არც მადრიდის „რეალთან" შედგა.

### „გამაკრიტიკონ, შეურაცხყოფას ნუ მომაყენებენ"

მას შემდეგ, რაც „ინტერმა" ბოლო ტურში საკუთარ მინდორზე წააგო 1-3 „უდინეზესთან", რონალდოს მიმართ გულშემატკივრები აშკარა გულისწყრომას გამოთქვამდნენ. როცა ბრაზილიელი თამაშის შემდეგ ტოვებდა მინდორს, იგი ლანძღვით გააცილეს და სხვადასხვა საგანიც დააყარეს, რამაც ფეხბურთელი საგონებელში ჩააგდო.

— გამაკრიტიკონ, მაგრამ შეურაცხყოფას ნუ მომაყენებენ — თქვა რონალდომ და დაიმუქრა, რომ „ინტერთან" კონტრაქტს დაარღვევს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2000 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე სიდნეიში (ავტსრალია) ჩატარდება ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები.

თამაშებზე აკრედიტაციის მსურველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა, გთხოვთ განცხადებები წარადგინოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში (რუსთაველის პროსპექტი №42; ტელ: 99-08-22) ან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურში (დ. ალმაშენებლის გამზირი №65; ტელ: 95-20-79).

აკრედიტაციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წარდგინების საფუძველზე, მიიღებს სეოკ-ის ალმასკომი.

სიდნეიში მივლინების ყველა ხარჯს გაიღებს თავად ჟურნალისტი ან მისი მიმავლინებელი ორგანიზაცია.

განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 1999 წლის 1 აგვისტო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახური

## პროფესიული კრივის სამყაროში



### აგვისტომდე რინგს შორიდან უყურებს

ფათერაკიანი მაიკ ტაისონი მერილენდის ციხეში იხდის სასჯელს და ივნისში დატოვებს საპყრობილეს, აგვისტოში კი მზად იქნება საბრძოლველად, — განაცხადა მოკრივის მრჩეველმა შელი ფინკელმა, რომელმაც ეს თანამდებობა მიიღო 1997 წლის ივნისიდან, როცა დამთავრდა მოკრივის დისკვალიფიკაცია ჰოლიფილდთან კომფლიქტური ბრძოლის (ყურის მოკვნეტის) გამო.

მაგრამ ეს სულაც არ გაათავისუფლებს ტაისონს „ციხის მეთვალყურეობისაგან": ვარაუდობენ, რომ მოკრივეს დღისით ვარჯიშის საშუალება ექნება, ღამით კი აუცილებლად დაბრუნდება საკანში.

ფინკელი ამ დღეებში ელაპარაკა მოკრივეს და თვლის, რომ იგი „სრულ წესრიგშია".

აგვისტოს ბრძოლა ლას-ვეგასის MGM Grand-ში გაიმართება და საკაბელო ტელევიზიის კომპანიებმა უკვე მატჩის ირგვლივ აჟიოტაჟის თადარიგის დაჭერა დაიწყეს.

### კვლავ – ჰოლიფილდ-ლიუისი

კრივის საერთაშორისო ასოციაცია (ვბა) თანახმაა სექტემბერში, ლას-ვეგასში გაიმართოს სარევანშო ბრძოლა ვბა-სა და იბფ ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდსა და ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლიუისს შორის. მალე ასეთივე განცხადება უნდა გააკეთოს იბფ-მ და ვბც-მ. ამ ბრძოლის 6 თვეში ჩასატარებლად სამივე ორგანიზაციამ წინასწარ მოილაპარაკა 16 მარტს – სამი დღის შემდეგ ჰოლიფილდ-ლიუისის ნიუ-ორკის მატჩის შემდეგ, რომელშიც ფრე აღინიშნა.

## ცნობები უცხოეთიდან

### საბონისი ნბა-ს რჩეული



ნბა-მ თავის გულშემატკივრებში ჩატარებული გამოკითხვით ნბა-ში 90 წლების საუკეთესო უცხოელ მოთამაშედ აღიარა ლიტველი არვიდას საბონისი, მეორე ადგილზე გავიდა ხორვატი დრაჟან პეტროვიჩი, შემდეგ მოდიან ასევე ხორვატი ტონი კუკოჩი, მუტუნბო (ზაირი), შრემპფი (გერმანია), დივაცი (იუგოსლავია), მარჩიულენისი (ლიტვა)...

### საქართველოს ფედერაციაც მხარს დაუჭერს

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო იმდენად პოპულარული პიროვნებაა და იმდენი რამ გააკეთა მსოფლიოში მძლეოსნობის ავტორიტეტის ასამაღლებლად (საქართველოს ფედერაციასაც აქტიურად ეხმარება ფინანსურად), რომ უკვე დაიწყო ხმამაღალი საუბარი იააფის პრეზიდენტის პოსტზე კიდევ ერთი ვადით (1999-2003 წ) ასარჩევად. არაბეთის ქვეყნების ფედერაციამ, რომელიც აერთიანებს 21 ეროვნულ ფედერაციას, უკვე ოფიციალურად გააკეთა ნებიოლოს მხარდამჭერი განცხადება. ჯერჯერობით ცნობილი გახდა, რომ ასეთივე განზრახვა აქვთ კიდევ 126 ფედერაციას 209-დან.

— ცხადია, ჩვენც იმ 126-ში ვართ — გვიპასუხეს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციიდან.

### სტამბული რჩება მასპინძლად

როგორც „ლელოს" 29-ე ნომერში ვწერდით, გერმანიამ მოითხოვა წყალთა სახეობებში სტამბულში დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატი გადაეტანათ მიუნხენში ან ვენაში. მიზეზად დასახელებული იყო თურქებსა და ქურთებს შორის დაპირისპირება და მოსალოდნელი საშიშროება. ეს საკითხი განიხილა ცურვის ევროპის ლიგამ და გერმანელთა პრეტენზია უსაფუძვლოდ სცნო. ასე რომ, ჩემპიონატს ისევ სტამბული უმასპინძლებს.

### ომმა ჩაშალა

მადრიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი ნაცვლად ბელგრადისა (უნდა დაწყებულიყო 27 აპრილს), ჩატარდება ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში 2-8 აგვისტოს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო ფედერაციამ. ბელგრადში ჩემპიონატის ჩაშლა ნატოს სამხედრო ოპერაციებმა განაპირობა. ეინდჰოვენში ერთეულთა და წყვილთა შეჯიბრებები გაიმართება. გუნდური ასპარეზობის ადგილს და თარიღს ფედერაცია მოგვიანებით გამოაცხადებს.

* * *

**ჭადრაკი.** რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის VI ყრილობამ, რომელიც გაიმართა სამარაში, კიდევ ერთი 4-წლიანი ვადით პრეზიდენტად აირჩია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ანდრეი სელივანოვი.

**ველოსპორტი.** გამოქვეყნდა პროფესიონალ მრბოლთა რეიტინგი. გაგაცნობთ უძლიერესებს. *ვაჟები:* 1. მიკალე ბარტოლი 2722, 2. დავიდე რებელინი — 2199, 3. მარკო პანტონი (სამივე — იტალია) — 2156... *ქალები:* 1.ხანკა კუფერნაგელი (გერმანია) — 653, 2. დიანა ზილიუტე (ლიტვა) — 585, 3. ალესანდრა კაპელოტო (იტალია) — 328...

### სლეინის სასჯელი მაინც არ ასცდა

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს და რეკორდსმენს საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაში ამერიკელ მძლეოსანს მერი სლეინსს 1996 წელს საოლიმპიადო შესარჩევ ასპარეზობისას „ჩაავლეს" დოპინგის მიღებაში. მას შემდეგ საქმეს არაერთხელ განიხილავდნენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ფედერაციებში და ყველას გამამტყუნებელი სასჯელი გამოჰქონდა. სლეინის ადვოკატები მაინც არ ცხრებოდნენ და ახლა საერთაშორისო ფედერაციის საბოლოო ვერდიქტით სპორტსმენს დისკვალიფიკაცია მიენიჭა კვლავ ორი წლით. იგულისხმება 1996-98 წლები, რომლის თაობაზეც მძლეოსანი და მისი ადვოკატები ამდენს დავობდნენ. საგულისხმოა, რომ საქმის ბოლო განხილვაზე არც სლეინი და არც მისი ვექილები არ გამოცხადდნენ.

### გუსტავო კუერტენი: „1997 წლის დონეზე ვთამაშობ!"



ბრაზილიელ გუსტავო კუერტენის გამარჯვებით დამთავრდა მონტე-კარლოს დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. მან ფინალში დაამარცხა ჩილელი მარსელო რიოსი. 53-ე წუთისათვის, როცა რიოსი აგებდა 4:6, 1:2, მან თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა ტრავმის გამო.

მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე კუერტენმა განაცხადა, რომ ახლა დაუბრუნდა თამაშის 1997 წლის დონეს, როცა როლან გაროსზე, საფრანგეთის ღია პირველობაზე გაიმარჯვა.

კუერტენმა ყურადღება მიიპყრო სწორედ ორი წლის წინათ, როდესაც მან, მსოფლიოში 66-ე ადგილზე მყოფმა, ბრწყინვალედ გაიმარჯვა საფრანგეთის ღია პირველობაზე. ახლანდელი გამარჯვებისათვის მან 361 ათასი დოლარი მიიღო და მსოფლიო რეიტინგ-ლისტში მეცხრამეტე ადგილიდან მე-16-ზე გადაიწია.

და კიდევ: პიტ სამპრასმა უარი განაცხადა ატლანტის (აშშ) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორშაბათიდან ამერიკელს მსოფლიო რეიტინგ ლისტში პირველ ადგილზე ევგენი კაფელნიკოვი შეცვლის.

## ხსოვნა

### კარლო ჯოჯუა



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის აღარ არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, თავისი დროის ცნობილი ფალავანი კარლო ჯოჯუა. სენაკის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და მუშაობა დაიწყო სენაკის პირველ საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად, პარალელურად სენაკის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩამოაყალიბა ჯგუფები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ბ-ნ კ. ჯოჯუას კვალიფიკაციამ სენაკის ახალგაზრდობის დიდი ნაწილის სურვილი გამოიწვია დაეწყოთ მეცადინეობა სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში. კ. ჯოჯუამ ნაყოფიერად წარმართა სელექციური მუშაობა, მოაწყო კონკურსები დამწყები მოჭიდავეებისათვის, სხვადასხვა შეჯიბრება, მიზეული სისტემით წარმართა მუშაობა.

მისმა პროფესიონალიზმმა შედეგი გამოიღო: სენაკელმა ფალავნებმა ბ. გვაზავამ, გ. მაჭავარიანმა, გ. ლომინაძემ, ა. გაბუნიამ, რესპუბლიკის ჩემპიონატებში სახელოვანი მოჭიდავეების შევიწროება დაიწყეს. სამოციან და სამოცდაათიან წლებში სრულად წარმოჩნდა კ. ჯოჯუას შრომის ნაყოფი, მისმა მოსწავლეებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო სარბიელზე გამოირჩეოდნენ ჭიდაობის ტექნიკურ-ტაქტიკური, ფსიქოლოგიური მომზადების დონით, ფლობდნენ ილეთების ისეთ პლასტიკურ ფორმებს, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა სხვადასხვა ქვეყნის დიდძალი მაყურებელი, აღიარებული სპეციალისტები. ესენი იყვნენ: შ. მორჩილაძე, გ. მაკალათია, ა. მურღულია, დ. ლატარია, კ. ოჩიგავა, გ. შონია, მ. ხუხუა, გ. მორჩილაძე, დ. კირცხალია. დიდია ბ-ნ კ. ჯოჯუას დამსახურება როგორც სპორტსმენების, ასევე სახელმწიფო მუშაკთა აღზრდის, ცხოვრების გზაჯვარედინზე დამდგარი მისი მოსწავლეებისადმი. არასოდეს დაივიწყებენ მის პედაგოგიურ და მშობლიურ ზრუნვით თანადგომას გ. ლომინაძე, ზ. ჟორჟოკია, ვ. კანკავა, შ. მორჩილაძე, თ. ხარბედია და სხვები.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოებრიობის სახელით: დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, რ. რურუა, ბ. სალარაძე, ვ. კანკავა, გ. ლომინაძე, ზ. ჟორჟიკია, დ. გობეჯიშვილი, ო. ბლიაძე, თ. მაჭავარიანი, შ. მორჩილაძე, ა. გაბუნია, ე. მორგოშია, ა. მურღულია, თ. ხარბედია, დ. ლატარია.

## რა ხდება ქვეყანაზე

### შიშს დიდი მიღწევაც მოაქვს

თურმე შიშს, რომელსაც არაფრისმომტანი დიდი თვალები აქვს, სარგებლობის მოტანაც შეუძლია... ზღვაში მოვარჯიშე მოცურავეებს, განწირული ხმა მოესმათ: ვეშაპი!.

ყველამ ნაპირს მიაშურა და მერედა შეამჩნიეს, რომ ავსტრალიის რეკორდსმენი ილზა კონრადსი, ნაპირიდან 50 მეტრზეა შესული წყალში ტივტივას გვერდით და მისკენ მტაცებელი მიჰქრის. როგორც კი მოცურავემდე მიაღწია საგანგაშო ხმამ და მოახლოებული ვეშაპი შენიშნა, ნაპირისკენ „მოუსვა". ყველა დაძაბული ადევნებდა თვალს მტაცებლის ზურგის ფარფლს: როგორ უახლოვდებოდა იგი სამსხვერპლოს. და როცა ფერდაკარგულმა და დონემიხდილმა მოცურავემ ძლივს დაადგა ფეხი ნაპირს, მას მიუახლოვდა მოღიმარი მწვრთნელი — ერთადერთი კაცი, სიმშვიდეს რომ ინარჩუნებდა, — და სიხარულით აცნობა: „ძვირფასო, მთელი წამით გააუმჯობესე მსოფლიო რეკორდი 50 მეტრზე ცურვაში".

### როდის ისურვებთ?

დაბალი დივიზიონის ინგლისურ კლუბ „ნიუპორტ კაუნტის" ძალიან ცუდად წაუვიდა საქმეები და იქამდეც მივიდა რომ, მაყურებელი თითქმის აღარ ესწრებოდა მის მატჩებს. და როცა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა დარეკა კლუბში, რომ „კაუნტის" მორიგი თამაშის დაწყების დრო გაეგო, კლუბის ადმინისტრატორმა თავაზიანად უპასუხა: „როდის ისურვებთ — თქვენ ერთადერთი ბრძანდებით, რომელმაც ამ მატჩზე დასწრება ინებეთ".

### მართლაც ერთგული

იტალიელი ტიფოზების ახირება ყველაზე უფრო კარგად ამ ქვეყნის არბიტრებისათვისაა ცნობილი. და ამიტომ არავის უკვირდა, რომ კორსიკელ სენიორ კაჩინის ოთხფეხა მეგობარი — ზორბა ძაღლი თან ახლდა და იცავდა მას მთელ იტალიაში მოგზაურობისას. და როცა ერთი სიცილიელი გამოვარდა მინდორზე და კრივის ილეთებით სცადა მსაჯობაში კორექტივის შეტანა, იქვე მოუხდა სპორტის სხვა სახეობისათვის, სპრინტისათვის მიემართა. როგორც კი ძაღლი ადგილს მოსწყდა, გულშემატკივარმა ელვის სიწრაფით გადალახა სარბენი ბილიკი და მოაჯირს გადაევლო მშვიდად რომ ედევნებინა თვალი თამაშისათვის.

### საჭადრაკო ამოცანა

საჭადრაკო კომპოზიციაში მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული ქალი ინგლისელი ედიტ ბერდი იყო, რომელმაც 2000-მდე ამოცანა შეადგინა. გთავაზობთ მის ერთ-ერთ ამოცანას ჟურნალ „მსოფლიო ილუსტრაციიდან":

ედიტ ბერდი (ინგლისი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ეc7!
1. ...d4 2. ეc5+ მფf6 3. ლg7X.
1. ...მფf6 2. ლg7+ მფ:f5 3. ეf7X.
1. ...ef 2. ეe7+ მფd6 3. ლb4X.
2. ...მფf6 3. ლg7X.

## კროსვორდი ● მხოლოდ სპორტის სახეობები



## მოკლედ...

*საგზატკეცილო ველორბოლა. მსოფლიო თასი. V ეტაპი. 255,3 კმ. ქ. მაასტრიხტი. 190 მონაწილე. 1. მიხაელ ბოოგერდი (ჰოლანდია) – 6:37,23. 2. ლენს არმსტრონგი (აშშ) – დრო გამარჯვებულისაა, 3. გაბრიელ მისალია (იტალია) – 6.37,39. საერთო ჩათვლა: 1. ფრანკ ვანდენბრუკე (ბელგია) – 199, 2. ბოოგერდი – 170, 3. ანდრეი ჩმილი (ბელგია) – 168.*

*ჩოგბურთი. ევგენი კაფელნიკოვი პირველია, რომელიც რუსეთის სპორტის ამ სახეობის საუკუნოვან ისტორიაში მსოფლიოში №1 ჩოგბურთელი გახდა. უფრო სწორად, იგი რეიტინგის სათავეში 3 მაისს მოექცევა.*

*მძლეოსნობა. ჰამბურგი. XIV ტრადიციული საერთაშორისო მარათონი: 1. დავიდ ნგეტჩი (კენია) – 2:10,05, 2. კარსტენ ეიხი (გერმანია) – 2:10.22, 3. სამუელ ოტენო (კენია) – 2:10.41.*

*ტანვარჯიში. „სამი ეროვნების" ტრადიციული ტურნირი: 1. ხესუს კარბალო (ესპანეთი) – 56,6, 2. ანდრეი კრავცოვი (ავსტრალია) – 55,6. 3. ანდრეას ბეკერი (გერმანია) – 55,4. გუნდური: 1. გერმანია – 224,1, 2. ესპანეთი – 218,65, 3. ავსტრალია – 214,15.*

*ცხენოსნობა. დამთავრდა მსოფლიო თასის ფინალური ასპარეზობა. საერთო ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. როდრიგო პესოა (ბრაზილია, იგი ზედიზედ მეორედ დაეუფლა ამ ჯილდოს), 2. ტრევორ კოილი (ირლანდია), 3. რენე ტებბელი (გერმანია).*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ჩესლაჟკა, 2. ეაირზინიო, 3. კარამბოლი, 4. კარბახალი, 5. ხურცილავა, 6. მალოფეევი, 7. ლიტმანენი, 8. კუბერტენი, 9. შელაყაძე, 10. ტურიშჩევა, 11. ცუგცვანგი, 12. ბოტვინიკი, 13. უიმბლდონი, 14. მარტინესი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგაზეთო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე